

ქართული

1(20) 2009
იანვარი-თებერვალი

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო

ქართუდი მარცო ესაა?
ქართუდი ქართუდთ რსმესაა!
ღმერთია, ზედისწერაა,
ზღვას რთა, იძოღესაა!



ნომანი:

საპროგრამული დღეები	3
ქართული მხედრობის ფორმები II ქვეყნის, სამხრეთი, მინორი	4
რძის მუდგად დაზარალებულ ადამიანთა ფსიქო-სოციალური ჰეპილიტატი	7-9
საგონი 2008!	10-11
საქართველო - საქართველო, საქართველო - საქართველო!	12-13
სხვადასხვა კეთილშეშობის მუდგად დავით ადამიანების	13-14
...და იქვე მუდგად მშობლის სანდო	15
საქართველოს ქართული ქართული „მადრი ბეზმეზის ბა“	16-18
ბეზმეზის - მუდგადის ქვეყნის	19-20
ბეზმეზის ბეზმეზის ბეზმეზის	21-23
ბეზმეზის ბეზმეზის ბეზმეზის	24-25
ბეზმეზის ბეზმეზის ბეზმეზის	25-26
ბეზმეზის ბეზმეზის ბეზმეზის და „სანდო“ ადამიანი	27-30

ს ა ზ ი რ ვ ა ე ც ზ ვ ე რ მ ც ე ე ს ი

საქართველოს

ამაყი ნება: თავადობის და ძაღვის ყრბი.
 ლალი თაბუძი: სიძალაზის რწებით ძველები.
 ხელმწიფებისთვის მწიგნობარი ყოვლისთვის ყრბი.
 და სისხლის ეძიონ: შმაგი მიცემით ზაბნობებელი.

ცაძარი ოძის: თუთი ლოცვით ათავლებელი
 საძო ზმანების: ხან მყოფელი და ხან ზი ბუნის
 სკდათა ვანის წმინდისანი მოჭრილი ლეონი
 და ცხელი ჯვარი: ნინოს თმებით ეანათლებელი.

მე მიყვარს მენი ეამხედვა: ძველი, მესხური,
 მზის სინელები შთებს სიწყვით რომ მოუხსენია.
 მაგობს ხედავდ: სააყადე ლანდით მოდის:
 ყვსო შორეთის სიყვარულით ზიბეამხილი, -
 და ყვდის ეძიონ: ეამთულდება ნეცაჟ თუ ოღუნ
 მუნს ყვდო მყრბი მინი ხმალი ეადაცხილი.

გიორგი პოპიაძე
 1919

ქსეპრუქ

ქართული მხედარეთმთავრები

ფარსმან III ქველი ამაზასხი მიწიანი

ფარსმან მესამე ქველი, იბერიის უძლიერესი მეფე, რომელსაც სიმამაცისათვის და ვაჟკაცობისათვის „ქველი“ ეწოდა, ძე მირდატ მეხუთესი, მეფობდა დაახლოებით 120-170 წლებში. მის დროს იბერიის სამეფომ უდიდეს ძლიერებას მიაღწია. მეფობის დასაწყისშივე, დაახლოებით 125 წელს, ფარსმანმა ილაშქრა ალბანეთსა და კაბადოკიაში, 130 წლისათვის კი მას უკვე მთელი სამხრეთ კავკასია ემორჩილებოდა. სომხეთის სამეფო იბერიის ვასალი გახდა, რამაც ძლიერ გააძაბა რომი. რომის იმპერატორმა ადრიანემ ფარსმანს მკაცრი წერილით რომში გამოცხადება უბრძანა, რაზეც ფარსმანმა ცივი უარი შეუთვალა. ადრიანემ იბერიასთან ომი ვერ გაბედა და ფარსმანს ძღვნად ორმოცდაათი ლეგიონერი და საბრძოლო სპილო გაუგზავნა.

მალე ურთიერთობა რომსა და იბერიას შორის კიდევ უფრო გაუძვირდა. 144 წელს რომის ახალი იმპერატორის, ანტონინუს-პიუსის მიწვევით ფარსმან მესამე ოჯახითურთ რომში სტუმრად ჩავიდა. გაფორმდა ხელშეკრულება რომის და იბერიის მოკავშირეობისა. ფარსმანის ამაღლამ მხედრული ჯირითი მოაწყო კოლიზეუმში, ხოლო ანტონინუს-პიუსის ბრძანებით მარსის მოედანზე ცხენებზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება დაიდგა. რომმა სცნო იბერიის ჰეგემონია სამხრეთ კავკასიაში. რომის ნავსადგურ ოსტიაში აღმოჩნდა მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი ბერძნულენოვანი წარწერა, რომელიც წარმოადგენს რომში კონკრეტულ დროს მომხდარი მოვლენების ქრონიკას. ამ ფილაზე ხდებოდა მოვლენების აღწერა მათი მნიშვნელობის მიხედვით. ოსტიაში აღმოჩენილ ფილაზე მოვლენათა აღწერა იწყება ქართლის მეფის, მისი მემკვიდრისა და დედოფლის ვიზიტით.

იბერიის გაძლიერებით უკმაყოფილო იყო

პართია. დაახლოებით 150-155 წლებში პართიის მეფე ვოლოგეზ მესამემ ორჯერ ილაშქრა იბერიის წინააღმდეგ, ფარსმან მესამემ ორჯერვე სასტიკად დაამარცხა მტერი და უკუაგლო. მალე ფარსმან ქველი ისე გაძლიერდა, რომ თავად გაილაშქრა პართიის წინააღმდეგ. მან დაამარცხა ვოლოგეზ მესამე და მისი დედაქალაქი კტესიფონსაც აიღო. ვოლოგეზმა დიდი ძღვენისა და მუდმივი მშვიდობის აღთქმით დაიხსნა თავისი ქვეყანა.

ფარსმან ქველი ქვეყნის შიგნითაც დიდ აღმშენებლობას ეწეოდა, რისი დასტურიცაა არქეოლოგიური ძიების შედეგად გამოვლენილი ვითარება: ქალაქმშენებლობის დიდი მასშტაბები, მოსახლეობის სხვადასხვა უბნებზე (არმაზციხე-ბაგინეთი, კარსანი, სამთავროს სამაროვანი, სვეტიცხოვლის მახლობელი ტერიტორია და ა.შ.), არაგვისპირეთში, ჟინვალში, ერწო-თიანეთში, ზღუდერში, მოდინახეში, ბორში და სხვაგან გათხრილი ნაქალაქარები და სამაროვნები. ამ პერიოდში შეიქმნა ბერძნულ-მცირე აზიური ტიპის აბანოები არმაზციხეზე, პიტიახშთა არმაზისხევის რეზიდენციასა თუ ძალისაში. ეს აბანოები დგანან იმ იშვიათ ხუროთმოძღვრულ ქმნილებათა შორის, რომელთაც ამშვენებთ საოცარი ოსტატობით შესრულებული მოზაიკა. სამეფოს ეკონომიურ სიძლიერეზე მიუთითებს ასევე ქვეყნის არაერთ პუნქტში წყალგაყვანილობისა და საირიგაციო სისტემების დაფიქსირება.

დაახლოებით 170 წელს ფარსმან ქველი გარდაიცვალა, როგორც ისტორიული გადმოცემა გვამცნობს, იგი მოწამლა პართიელების მიერ მოსყიდულმა მზარეულმა.

ამაზასხი, ფარსმან მეოთხის ძე, იყო იბერიის მეფე დაახლოებით 230-265 წლებში. მისი მეფობის



ფარსმან III ქველი

დასაწყისში გაძლიერებულმა ლაზიკის სამეფომ იბერიას წაართვა კლარჯეთი და ოძრახე.

243 წელს ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ ალან-პსები, ამაზასპმა და სომხეთის მეფემ, ხოსროვ მეორემ, ერთიანი ძალებით მუხრანთან ბრძოლაში დაამარცხეს ისინი და გადარეკეს კავკასიონს იქით.

ამ პერიოდში სულ უფრო ძლიერდებოდა სასანიდური სპარსეთი. 253 წელს შაპმა, შაბურ პირველმა, დაიპყრო სომხეთი და იქ თავისი ძე გაამეფა. სულ მალე ამაზასპი იძულებული გახდა ეცნო შაპის უზენაესობა და რომთან კავშირზე ხელი აეღო. ამავე პერიოდში მან თავისი და მიათხოვა სომხეთის მეფეს, ირანის ტახტის მემკვიდრეს ჰორმიზდ-არდაშირს. ასეთი სიტუაცია დიდ ხანს არ გაგრძელებულა. 265 წელს ამაზასპი გადაუდგა ირანელებს. ირანელებმა ეგრისის ერისთავებისა და სომხეთის დახმარებით, გუთისხევთან ბრძოლაში დაამარცხეს ამაზასპი, რომელიც ბრძოლაში დაიღუპა. იბერიის ტახტზე დასვეს სასანიდი ჰორმიზდ-არდაშირისა და შვილიშვილი შაპ შაბურ პირველისა.

მირიანი იყო სპარსეთი მეფის – ქასრეს შვილი. ქასრე მეფემ „შეიწყნარა ვედრება ქართველთა, და შერთო ძესა მისსა მირიანს ასული ქართველთა მეფისა და მისცა ქარველთა მეფედ ძე მისი და დასვა მცხეთას“. იმ დროს მირიანი იყო შვიდი წლის. ქასრემ დატოვა მის მეურვედ ერთი წარჩინებული, სახელად მირვანოზ. მისცა მირიანს ქართლი, სომხეთი, რანი, მოვკანი და ჰერეთი. დატოვა 40 ათასი რჩეული სპარსი მხედარი, ყველა მთავარს უბრძანა მირიანის

მორჩილება, ხოლო მირიანს და მირვანოზს უბრძანა ხაზარების წინააღმდეგ ბრძოლა.

მირიანმა მალე ისწავლა ქართული ენა. იგი ქართლის ყველა მეფეზე მეტად აღასრულებდა კერპებისმსახურებას. თავსარ ზოგადად სამეფოსათვის და „შეიყვარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა“.

როცა მირიანი 15 წლის იყო, გარდაიცვალა მისი ცოლი და ამით დასრულდა ფარნავაზიანთა მეფობა. რადგან ქართლში არავინ იყო მეფობის ღირსი, ქართველებმა ისევ მირიანს უერთგულეს. მირიანმა ცოლად შეირთო ბერძენი, ასული ოლილოტოსისი, სახელად ნანა.

შემდგომ დაიწყო ხაზარებთან ბრძოლები. ხაზარები ხან ლეკებს გამოიყვანდნენ მირიანის წინააღმდეგ, ხან დურძუკებს და დიდოელებს, მაგრამ გამარჯვება ყოველთვის მირიანს რჩებოდა. ყველაზე ზშირად ბრძოლა მირიანს უხდებოდა დარუბანდისთვის. ხაზარები აიღებდნენ დარუბანდს და მიადგებოდნენ სპარსეთს, მაშინ მირიანი დარუბანდის დასახსნელად გაემართებოდა და ხაზარები ხან ბრძოლით და ხანაც უბრძოლველად უთმობდნენ.

როცა მირიანს 40 წელი შეუსრულდა, მაშინ გარდაიცვალა მისი მამა, სპარსეთის მეფე და მის ნაცვლად გამეფდა მირიანის უმცროსი ძმა ბარტამი. შეიტყო რა ყოველივე ეს მირიანმა, შეკრიბა ჯარი და ბაღდადს გაემართა, რათა თავისი მამის ტახტი დაეკავებინა. ბარტამამაც ურიცხვი ლაშქარი შემოიკრიბა და მირიანს დაუხვდა. ამის მნახველი სპარსი უხუცესები მოციქულებად დაუდგნენ ძმებს, რათა სისხლი არ დაღვრილიყო და განაჩინეს: მისცეს სპარსეთის მეფობა ბარტამს, ხოლო მირიანს მისცეს ჯაზირეთი, შამის ნახევარი და ადარბადაგანი.

სანამ მირიანი მემკვიდრეობის მიღებით იყო დაკავებული, ოსებმა ქართლი მოაოხრეს. სპარსეთიდან დაბრუნებულმა მირიანმა გაყარა ისინი, მივიდა ხაზარეთამდე და უკან დვალეთის გზით დაბრუნდა.

ამის შემდგომ კვლავ გრძელდებოდა ხაზარების ბრძოლა დარუბანდის დასაკავებლად, ხოლო მირიანი მედგრად ებრძოდა მათ და ამარცხებდა კიდევ.

როცა მირიანი ხაზარებთან იბრძოდა, გუთების მეფე ურიცხვი ჯარით შევიდა საბერძნეთში. საბერძნეთის კეისარმაც დიდძალი ლაშქარი დაახვედრა მათ. მაშინ გუთთა მეფემ კეისარი ბრძოლაში გამოიწვია. რადგან კეისარს ბრძოლა არ შეეძლო, მის მაგივრად გაგზავნეს სომეხთა მეფის – კოსაროს ძე თრდატი, რომელიც ბერძენთა ჯარში იყო და დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა. თრდატმა ორთაბრძოლაში გაიმარჯვა და გუთები უკან გაბრუნდნენ. გახარებულმა კეისარმა მისცა თრდატს ჯარი და გაგზავნა სომხეთში, თავის



მეფე მირიანი და დედოფალი ნანა

მამულში. სომხეთში ჩასულმა თრდატმა იქიდან გამოაძევა მირიანის ერისთავები და ჯარი.

მირიანმა შეწყვიტა ხაზარებთან ბრძოლა და თრდატთან საომრად მზადება დაიწყო. მან სპარსეთიდან მოიყვანა სპარსეთის მეფეთა ნათესავი, სახელად ფეროზი, რომელიც მრავალრიცხოვანი ჯარით ეწვია მირიანს.

მირიანმა ფეროზს ცოლად შერთო თავისი ასული, მისცა ქვეყანა ხუნანიდან ბარდავამდე მტკვრის ორივე მხარეს და ერისთავობა დაუმტკიცა.

მირიანმა სხვა ძალებიც მიიღო სპარსეთიდან და დაუწყო თრდატს ბრძოლა.

როდესაც თრდატი მიიღებდა დახმარებას საბერძნეთიდან, მაშინ ამარცხებდა მირიანს და მის საზღვრებზე გადადიოდა, ხოლო როცა მირიანი მიიღებდა დახმარებას სპარსეთიდან, მაშინ ის ამარცხებდა თრდატს და მის ქვეყანაში გადადიოდა. ასე გრძელდებოდა მრავალ წელიწადს.

ბარტამის შემდეგ სპარსეთის მეფე გახდა მირიანის მესამე ძმა, რომელმაც მირიანს მოციქული გაუგზავნა და შეუთვალა: „რათა შეეკრებთ და გარდავლოთ სომხითი და შევიდეთ საბერძნეთად“-ო.

მირიანი დაეთანხმა. სპარსეთის მეფე წამოვიდა, მას მირიანი მიეგება „და შეკრება სიმრავლე ურიცხვი, ვითარცა თივანი ველთანი და ფურცელნი ხეთანი სიმრავლითა“.

ქართველთა და სპარსელთა გაერთიანებული ჯარი სომხეთში შევიდა. თრდატმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ციხეში გამაგრდა. ამის შემდეგ ქართულ-სპარსული მხედრობა საბერძნეთში შევიდა. მათ ვერც ბერძნები გაუმკლავდნენ.

დამარცხების გამო მწუხარებაში მყოფ კეისარს კონსტანტინეს ღვთისმსახურებმა უთხრეს: “ვიხილეთ საკვირველება ქრისტესი და ძლევა მტერთა მოსავთა

მისთაგან, ვითარ ყოველნი მოსავნი ქრისტესნი წარძღვანებითა ჯვარისათა სძლევენ მტერთა მათთა“-ო.

კონსტანტინემ ირწმუნა მათი, როგორც გადმოგვცემს „მოქცევაი ქართლისაი“, ქრისტიანულად მოინათლა და მცირე ჯარით შეებრძოლა ურიცხვ მოწინააღმდეგეს. გამარჯვება კონსტანტინეს დარჩა. უკან გამოქცეულ ქართველებს და სპარსელებს, ბერძნები გამოუდგნენ და მათ საზღვრებამდე მისდიეს. სპარსელები სპარსეთში დაბრუნდნენ. მარტო დარჩენილმა მირიანმა მოციქული გაუგზავნა კონსტანტინეს, ითხოვა მისგან მშვიდობა და აღუთქვა სპარსელებისაგან განდგომა და მისი ერთგულება. კონსტანტინე, რომელსაც სპარსელების შიში ჯერ კიდევ ჰქონდა, დაეთანხმა მირიანს.

კონსტანტინემ მძევლად წაიყვანა მირიანის შვილი ბაქარი, ხოლო მეორე ვაჟს, რევს, ცოლად მისცა თრდატის ასული სალომე და ამით დაამოყვრა მირიანი და თრდატი. მათი საზღვრები კი ასე დააწესა: იმ მდინარეთა მიდამოები, რომლებიც რაზში ჩაედინებოდნენ, თრდატის სამფლობელოდ გამოცხადდა, ხოლო მიწები, რომელთა მდინარეებიც მტკვარს უერთდებოდნენ – მირიანს დარჩა.

ამრიგად მეფობდა მირიანი ქართლში, რანში, ჰერეთში, მოგაკანში და ეგრისში ეგრისწყლამდე. ხოლო თავის ვაჟს – რევს მისცა კახეთი და კუხეთი და დასვა უჯარმაში.

იმ დროისათვის ქართლში მოსული იყო კაბადოკიელი ქალი ნინო, რომელსაც მცხეთაში დაეწო სამი წალიწადი. იგი ქადაგებდა ქრისტეს სჯულს და მისი სახელით უწამლოდ კურნავდა ავადმყოფებს.

ხოლო მირიან მეფის მოქცევა კი „ესრეთ იყო“: წმინდა ნინოს ქადაგებებით ქართლის ბევრი მკვიდრი მოექცა ქრისტიანად. თუმცა მეფე და განსაკუთრებით დედოფალი, არ იზიარებდნენ მის მრწამსს. ერთხელ დედოფალი ნანა მძიმე სენით ავად გახდა და ვერცერთმა მკურნალმა ვერ შეძლო მისი განკურნება. ხოლო ნინომ ლოცვითა და ჯვარის გარდასახვით, მეყსეულად განკურნა. ამ სასწაულით მოექცა ნანა დედოფალი ქრისტეს სჯულზე „და იქმნა დედოფალი მორწმუნე და იცნა ღმერთი ჭეშმარიტი“. მეფე მირიანი მეტად განაკვირვა ამ ამბავმა, მაგრამ თავად რწმენა არ შეუცვლია. ერთხელ 20 ივლისს, შაბათ დღეს, მირიანი სანადიროდ წავიდა. ნადირობისას მან გადაწყვიტა ქრისტიანების გაწყვეტა და მხლებლებს იქვე უბრძანა მისი სურვილის ასრულება. მეფემ მოიარა მუხრანი და ავიდა თხოთის მთაზე. ამ დროს მზე დაბნელდა. შეშინებული ამაღლა მიმოიფანტა და მეფე წყვილიაღში მარტო დარჩა. მირიანმა დახმარება შესთხოვა კერპებს, ხოლო მას შემდეგ, რაც მდგომარეობა არ შეიცვალა, შევედრა ნინოს

დმერთს, რის შემდეგაც ცა განათდა.

მირიანს წინაპართაგან დატოვებული ჰქონდა ნებროთის წიგნი. ეს წიგნი იყო ფარნავაზიანთა დინასტიის საიდუმლო წინასწარმეტყველებათა კრებული. წიგნი საქართველოს სამეფო კარზე ინახებოდა მუხუთე საუკუნემდე, მას შემდეგ იგი დაკარგულია და ქართველ მეცნიერთა თაობები დღემდე არ წყვეტენ მის ძიებას. სწორედ ამ წიგნში იყო პირველი წინასწარმეტყველება, რამაც მეფე მირიანს რწმენა განუმტკიცა ნინოს სარწმუნოების, ანუ ქრისტიანობის მიმართ.

მცხეთაში დაბრუნებულმა მეფემ ბრძანა ქრისტეს სჯულზე მოქცევა და საბერძნეთში მოციქული გაუგზავნა კონსტანტინეს, რათა მოსანათლად მღვდლები გამოეგზავნა.

მირიანის ბრძანებით მცხეთაში აიგო

სვეტიცხოვლის პირველი ტაძარი. ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქართლში, თუმცა მთიელებმა და რანის მკვიდრებმა უარი თქვეს სარწმუნოების შეცვლაზე.

მირიანი ებრძოდა წარმართებს, თუმცა შედეგს ბოლომდე ვერ მიაღწია.

„და აღესრულა მირიან მერე, და დაეფლა ზემოსა ეკლესიასა, საშუალოსა სვეტსა სამხრეთსა, ჩრდილოთ კერძო“.

ქართული ეკლესიის მიერ მეფე მირიანი წმინდანად იქნა შერაცხული.

მოშზადებულია ტელეკომპანია „საქართველოს“ პროექტ „მთავარსარდლის“ ლიტერატურული სცენარის მიხედვით ავტორი ლევან უმიკაშვილი

ომის უძებრად ტრავმირებული ადამიანების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

*“ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და ჰიბრიდი ხელშეუხებლობის უფლება”
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
მუხლი 3*


2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საქართველოში უამრავი ადამიანი დაიღუპა, რუსეთის მიერ ოკუპირებულია ქვეყნის ტერიტორიები, განადგურდა სოფლები, დაიწვა სახლები. სექტემბრის მონაცემებით საქართველოს მთავრობის და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის ინფორმაციის თანახმად ომის შედეგად 192,000 პირმა დატოვა საცხოვრებელი ადგილი. 35,000 ჩრდილოეთ ოსეთში, ხოლო 158,000 საქართველოში განლაგდა; აქედან 30,000 ცხინვალის რეგიონში, 127,000 კი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დასახლდა.

მოგვიანებით, 78,000 დევნილს მიეცა საკუთარ სახლებში დაბრუნების საშუალება — გორში

და მის მიმდებარე სოფლებში. ვისი სახლებიც მთლიანად არის განადგურებული და სოფლები რუსების მიერ არის ოკუპირებული, ისინი მთავრობამ დააკმაყოფილა საცხოვრებელი ფართებით და ძირითადი საყოფაცხოვრებო საშუალებებით.

შეიარაღებული კონფლიქტის დროს დევნილებმა თბილისში თავი შეაფარეს როგორც ნათესაეებს, ასევე დროებით კომპაქტურად დასახლდნენ 600 ობიექტზე.

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი აგრესიის შედეგად საქართველოს მშვიდობიანმა მოსახლეობამ მოულოდნელი ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო. კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველები



ფაქტობრივად ეთნოწმენდის მსხვერპლნი გახდნენ: სასტიკი მოპყრობა, მორადიობობა, ტყვეობაში ყოფნა, დაბობმბვა, მღვეარის შიში და საცხოვრებელი ადგილის იძულებით მიტოვება.

იძულებით გადაადგილებული არის ადამიანი, რომელიც საშინელი შიშის, ძალადობის და ზეწოლის ქვეშ ტოვებს საკუთარ საცხოვრებელ ადგილს, ხშირ შემთხვევაში ახლობლებს და სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით ეცლება იმ გარემოებას, რამაც აიძულა გაქცევა. იმ შემთხვევაში, თუ თავი დააღწია არსებულ საფრთხეს, კმაყოფილია, რომ სიკვდილს გადაურჩა. თუმცა, შემდეგ იწყება ხანგრძლივი ტანჯვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იწვევს მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელსაც ტრავმული სტრესი ჰქვია. ტრავმული სტრესის გამომწვევი კრიზისი ხასიათდება მოულოდნელობით, მოვლენათა კონტროლის შეუძლებლობით, ფიზიკური განადგურების და დაზიანების რეალური საფრთხით, ის დამამცირებელია, არღვევს წარმოდგენებს საკუთარ თავზე, იწვევს ცხოვრების ჩვეული წესის ნგრევას და მომავლის განუსაზღვრელობას. მატრავმიერებელი მოვლენა ჩვეულებრივ სწრაფად ვითარდება, ხოლო ტრავმული სტრესი ხანგრძლივად გრძელდება. ამ დროს ადამიანებს სოციალურის პარალელურად ესაჭიროებათ დაუყოვნებელი ფსიქოლოგიური დახმარება.

ამ მიზნით საქართველოს პარლამენტმა, მთავრობამ და ადგილობრივი მთავრობების ორგანიზაციებმა დახმარებულთა ფსიქო-სოციალური დახმარების ერ-

თობლივი გეგმა შეიმუშავეს. ამ პროცესში ასევე ჩაერთო საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

დახმარების პირველ ეტაპზე ობიექტებზე ფსიქოლოგებს, სოც. მუშაკებს და მოხალისეებს დახვდათ ქაოსი, გაურკვევლობა, უიმედობა და აგრესია. მათი მიზანი იყო ორგანიზებულობის შეტანა, ძირითადი საჭიროებების გამოვლენა და მწვავე სტრესულ მდგომარეობაში მყოფ პირთათვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენა. პირველ რიგში, ღვენილთა შორის შეიქმნა საინიციატივო ჯგუფები, რომელთა ფუნქცია იყო ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება, ფუნქციების გადანაწილება, საჭირო ინფორმაციების მოძიება.

ასევე, ფსიქოლოგების მიერ შეიქმნა რამდენიმე სამიზნე ჯგუფი: ბავშვების, მოზარდების, უფროსების და მშობლების. გარდა ამისა, მუშაობა მიმდინარეობდა ცალკეულ ოჯახებთან და ინდივიდუალურად.

კრიზისული მოვლენიდან პირველ დღეებში ღვენილებს ჰქონდათ ინტენსიური შიშის, უსუსურობის და სამყაროს, როგორც მოწესრიგებულის და სამართლიანის აღქმის ნგრევის განცდა. ისინი უეცრად იმდენად სასტიკ და დაუნდობელ რეალობას შეეჯახნენ, რომ პრაქტიკულად დაკარგეს საკუთარი „მე“-ს დადებითად აღქმის უნარი.

ფსიქოლოგებმა თავდაპირველად ძალისხმევა მიმართეს ხელი შეეწყოთ დაზარალებულთათვის არსებული მდგომარეობის გააზრებაში და, რაც მთავარია, მიუხედავად უკიდურესი სტრესული გამოვლინებებისა, მათ დაარწმუნეს ისინი, რომ ყოველივე ეს ნორმალური რეაქციაა არანორმალურ მოვლენებზე.

ომის შემდგომ დღეებში ღვენილებში განსაკუთრებით ხშირად ვლინდებოდა უძილობა,



კომპარული სიზმრები, განრისხება და აგრესიული ქცევები, შფოთვა და დებრუსია, გაუცხოება არსებული გარემოს მიმართ და ტრავმული მოვლენების განმეორებადი, აკვიატებული მოგონებები და „გამონათებები“- flashbacks.

აღსანიშნავია, რომ დევნილთა უმეტესობას ბავშვები, ახალგაზრდები, ქალები და მოხუცები წარმოადგენდნენ. ქმედითი მამაკაცების ნაწილი საომარ მოქმედებებში იყო ჩართული. ნაწილი, არ ტოვებდა საკუთარ კარ-მიდამოს. დანარჩენი კი, ტყვეობაში იმყოფებოდა. თუმცა, დევნილთა ნაკადი არ წყდებოდა. ამას თან ახლდა ერთის მხრივ ახლობლების სიხარული მათი გადარჩენის გამო და მეორეს მხრივ, ახალ ჩამოსულთა შოკური მდგომარეობა გადატანილი ტრავმების გამო.

გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მნიშვნელოვანი იყო იბულებით გადაადგილებული ტრავმირებული ბავშვების სპეციფიკა. ბავშვები განსაკუთრებულად აღიქვამდნენ დევნილობაში ყოფნას. ისინი გამუდმებით ისმენდნენ უფროსებისაგან ომის ისტორიებს, რაც იწვევდა მათში მსხვერპლად ყოფნის განცდას და მტრის ხატის შიშს. გარდა ამისა, მათ უამრავი მწვავე ფსიქოლოგიური გამოვლინება ქონდათ. როგორცაა, დაუცველობის და უსუსურობის განცდა, მომავლის შიში, სირცხვილის, დაბალი თვითშეფასების და ბრალეულობის განცდა, ტრავმატული თამაშები: „დევნილობანა“, „თოჯინების დამარხვა“. ჰქონდათ მეხსიერებასთან და სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, სხვადასხვა სახის შიშები და ღამის კომპარები.

ბავშვის ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალება არის თამაში, რომელიც მიმართულია შემოქმედებითი და წარმოსახვითი


აზროვნების განვითარებისკენ, გარემოსთან ინტეგრაციისკენ. ამისათვის ფსიქოლოგები ატარებდნენ ჯგუფის შეკვრისთვის საჭირო თამაშებს, მოძრაობით საფარჯიმოებს, ბავშვები ხატავდნენ მშვიდობიან თემებზე. მოზარდებთან კი ფსიქოლოგები საუბრობდნენ მათ მიერ შემოთავაზებულ თავისუფალ თემებზე.

პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ა დ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ დ ა ინდივიდუალური მუშაობა მძიმე სტრესულ მდგომარეობაში მყოფ პირებთან. ასეთები იყვნენ ჯარისკაცები, ტყვეობაში მყოფი მოხუცები, ინვალიდები და ისინი, ვინც საკუთარი თვლით ნახეს ახლობლების სიკვდილი. ფსიქო-განათლება ჩაუტარდათ მშობლებს ბავშვებისათვის დამატებითი სტრესის თავიდან ასაცილებლად.

ჩატარებული მუშაობის შედეგად დევნილებში ჩამოყალიბდა დადებითი გუნება-განწყობა. მოხდა მათი შეკვრა, გაერთიანება. ბავშვებსა და მოზარდებში შფოთვა აღარ შეინიშნებოდა. ხოლო, ზრდასრულებში მნიშვნელოვნად შემცირდა დებრუსიის ნიშნები. საგრძნობლად განუვითარდათ საკუთარ თავში დარწმუნებულობის გრძნობა. თავად აღნიშნავდნენ, რომ გაუჩნდათ პრობლემების უკეთ გამკლავების იმედი და უფრო აქტიური ცხოვრების სურვილი.

ყოველივე ზემოთ აღწერილი არის ომის შედეგად ტრავმირებული ადამიანების მდგომარეობის ზოგადი ვითარება, რომელიც ცალკეული ინდივიდუალური ისტორიებისგან შედგება. ეს ისტორიები იმდენად შთამბეჭდავია, რომ თითოეულ მათგანზე მოთხრობის დაწერა, ან ფილმის გადაღება შეუძლებელია.

მედუნა გოგიშვილი





აგვისტო 2008

რეზერვისტი კახა ლაბაძე ცხრა საათზე გამოცხადდა დანიშნულების ადგილზე.

ახლა, როცა ომის ქარიშხალი თითქმის ჩამცხრალია, ალბათ, შეიძლება „დანიშნულების ადგილის“ ნაცვლად პირდაპირ ვაზიანის ბაზა ვთქვათ.

არა მგონია, ეს „განთქმა“ სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნებად ჩაგვითვალოს.

დილიდანვე ცხელოდა.

შორს, ჰორიზონტთან, საფრენ ბილიკზე გახურებული ჰაერი ვარვარებდა.

საწყობთან რეზერვისტთა გრძელი მწკრივი სწრაფად მოკლდებოდა.

რეზერვისტები ავტომატის მიღებისთანავე მეორე რიგისკენ გარბოდნენ, მეორე რიგთან ჯავშანფილეტებს არიგებდნენ.

კახას წინ ორიოდ რეზერვისტი ედგა, როცა სამხედროფორმიანი მოხდენილი გოგო აივანზე გადმოდგა და გამოაცხადა.

- ფილეტები აიღეთ და სასწრაფოდ ჩასხედით ავტობუსებში.
- ავტომატები?! – ჰკითხა კახამ.
- გორში დაგირიგებენ. სწრაფად, სწრაფად, დროს ნუ ჰკარგავთ.

საჟილეტო რიგთან მაღალი, უწარბო ბიჭი იდგა და რეზერვისტებს აფრთხილებდა:

- ფილეტები კარგად დაათვალიერეთ, გახვრეტილი არ იყოს.

შემკრთალი რეზერვისტი ფილეტს გაშლიდა თუ არა, უწარბო კატეგორიულად ეუბნებოდა:

- ა, ნახე, გახვრეტილია, მიუბრუნე ახლავე და სხვა გამოართვი.
- რამ გახვრეტიდა?! – კითხულობდა სასოწარკვეთილი რეზერვისტი.
- მე რა ვიცი, ხომ ხედავ, ნახმარი ფილეტებია, ერაყიდანაა ჩამოტანილი.

რეზერვისტი, რომელსაც სამშობლო, მართალია, ძალიან უყვარდა, მაგრამ წუნიანი ფილეტის მიხეზით სიკვდილს ჯერჯერობით არ აპირებდა, საწყობისაკენ გარბოდა, რათა შემოტყუებული გახვრეტილი ფილეტი მიებრუნებინა. ამის გამო საჟილეტო საწყობთან ორი რიგი იდგა – ფილეტის ამღებთა და ფილეტის უკან დამბრუნებულთა.

საოცარი ის იყო, რომ დამბრუნებულთა რიგი უფრო გრძელი

გაზღდათ.

თორმეტს აღარაფერი უკლდა, როცა ამერიკის სამხედრო ფორმიანი, პენსიონერი კალათბურთელის ტანის პატრონი, უპაცონო პოლკოვნიკი გამოვიდა და გამოაცხადა:

- ვილაცა ბოროტად ხუმრობს და მოვიცლით მისთვისაც, არცერთი ფილეტი გახვრეტილი არ არის და თავს ნუ ასულელელებინებთ მოღლაბუცეს.

ფილეტი გაშალა და თვალსაჩინოებისათვის დასძინა:

- - ეს ნახვრეტი იღლიასთან, ყველა ფილეტს აქვს. ზორტის გასაყრელია და სხვა არაფერი.

ფილეტის მიმბრუნებულთა რიგი თვალის დახამხამებაში დაიშალა. აღარც ხუმრობის ხასიათზე მყოფი უწარბო ჩანდა.

- ფილეტები დამთავრდა, ჩასხედით ავტობუსებში, გორში დაგირიგებენ ყველაფერს, - ჩასძახოდა ვილაც მიკროფონს.

უიარაღო და უჟილეტო ოციოდ რეზერვისტი ბოლო ყვითელ ავტობუსს მიურიგდა. გასასვლელიდან ეს ავტობუსი პირველი იყო. სხვა ყვითელ ავტობუსებში ამაყად ისხდნენ კბილებამდე შეიარაღებული რეზერვისტები და უიღბლო “მებრძოლებს” ცოტა არ იყოს, ირონიით და ნიშნის მოგებით გადმოსცქეროდნენ.

ყვითელი კოლონა გორის გზაზე გაიჭიმა.

გზაში რამდენჯერმე გადაუფრინა თავზე ყვითელ კოლონას ნაცრისფერმა წვეილმა ავიაგამანადგურებელმა, მაგრამ არც ნახევრადსამხედრო მძღოლებს და არც საგულდაგულოდ გაწვრთნილ რეზერვისტებს, ეჭვი არ შეჰპარვიათ, რომ მტრის თვითმფრინავები დაჰბზუოდნენ თავზე, თორემ ასე არხინად არ იქნებოდნენ. შეშინებით ცოტა მაინც შეშინდებოდათ.

კახას გორის ციხეზე ცას შეყვებულ სატელევიზიო ანძა გადახრილი მოეჩვენა, სამაგიეროდ, ქვემეხების ღვანდგარში და თვითმფრინავების ყრუ გუგუნში სტალინის ძველი იდგა ძველებურად, მყარად, გამართულად.

ლიახვის პირიდან ცხელი სიო ქროდა.

გორის ბაზასთან მწვანე, ოთხსართულიან შენობას მიადგნენ კახა და მისი უთოფო ამხანაგები.

- რა გნებაუთ?! – პარმალზე სახელაქწილი კაპიტანი იდგა.
- ავტომატები, ფილეტები, რეზერვისტები ვართ, - ყვირილით შესძახა კახამ.
- რა გაყვირებს?! – კაპიტანს გაეცინა, - თბილისში უნდა მოეცათ.
- აბა რა ვქნათ?! – ცრემლი გაერია ხმაში ქართველ მეომარს.
- კარგი, მომისმინეთ, ამ მანქანაში ჩასხედით და ცხინვალში წახვალთ, იქ მოგცემენ ყველაფერს.
- რომელ მანქანაში?!

ჭიშკართან ბეტონის ამრევი, მბრუნავავაზიანი მანქანა იდგა, ავზი, რა თქმა უნდა, არ ბრუნავდა.

- რა გეშინიათ, ეს უფრო საიმედოა. აბა ჩქარა, ჩქარა, კარგად იყავით.

ბიჭები ავზში შესცვოდნენ, ავზს თავი ნახევრად ღია ჰქონდა საპაეროდ.

ბეტონშიზიდი ბაზის რკინის ჭიშკარს რომ გამოსცდა, სწორედ მაშინ შემწვრივდა გორში ყვითელ ავტობუსთა ქარავანი. ნახევარი საათი იარეს, ჰა, ჰა, ორმოცი წუთი, მეტი არა. ხმა არ ამოუღიათ, ისხდნენ გასუსულები, ერთმანეთს

მიყრდნობილები, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ.

- შემთხვევით ხელი რომ მოუხვდეს და დაგვატრიალოს, ხომ ავგდლებიან ერთმანეთში ბეტონით, - ხუმრობა სცადა ვილაცამ, მაგრამ არავის გასცინებია.

სიცილის დრო არ იყო.

ჯერ ბეტონშიდს რაღაც მიასკდა და მერე გაისმა გამაყრუებელი გრიალი. მანქანა გადაყრავდა.

გასკდა მეორეჯერ, მესამეჯერ...

აუზიდან პირველმა კახამ ამოყო თავი. ირგვლივ ყველაფერი იწვოდა. ცეცხლი ეკიდა კაბინასაც. გადაბრუნებული მანქანიდან ამოსვლა არ გაჭირვებიათ.

გარბოდნენ... ეცემოდნენ... გარბოდნენ... ბალახს თხრიდნენ და თავზე იფარებდნენ... ჭურვისაგან ამოთხრილ ორმოში წვებოდნენ...

აღარც ახსოვს, ავტომატი ვინ მიაჩქრა.

- ცხინვალი შორს არის?! – ჰკითხა კოჭლობით მიძვალ კასკიან ჯარისკაცს.
- ცხინვალში ვართ, - ჯარისკაცმა განზე გაიხედა.

მოიერიშეთა ათუღს შეეკვლა.

- რეზერვისტი ხარ?! – ჰკითხა შავწყვერა კაპრალმა.
- კი.
- მერე?! აქ რა გინდა?!
- არ ვიცი... ბეტონის მანქანით მოგვიყვანეს.
- რითი?! – კაპრალს გაეცინა.
- რა გაცინებს?! – კახამ წარბი შეიკრა.
- სხვა რაღაცაზე ვიცი. ჩემთვის არ უთქვამთ, რომ ბრძანება უკუღმა უნდა გამეგო. კინაღამ შევაწყვიტე ბიჭები...
- რა უკუღმა?!
- თურმე, რო წამოვა ბრძანება: წვედით „ატაკაზეო“, მაშინ უნდა შეიტრიალო ქუდი და უკან გამოიქცეო. რომ გიბრძანებენ, უკან ვიხეოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ იერიშზე უნდა გადახვიდე. ასეთი სტრატეგია შეუმუშავება ჩვენს სარდლობას.
- რას ლაპარაკობ?!
- ეს ცუდი როდია, მოწინააღმდეგეს აბნევს, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა გვცოდნოდ. სამიდან-ექვსამდე შესვენება რომ გამოგვიცხადეს, გამიკვირდა, ომში „პერერივი“ ვინ გაიგონა-მეთქი. თურმე, ეს მტრის მოსატყუებლად. მაგრამ მე ხომ უნდა მცოდნოდა. კინაღამ შევაწყვიტე ბიჭები.

კაპრალს ხარხარი აუტყდა და კახა მიხვდა, რომ მეთაურს კონტუზია ჰქონდა და მეთი შეკითხვა აღარ დაუსვამს. რომ მოსალამოვდა, გარაჟიდან გამოლაგდნენ.

- ეს ქუჩა უნდა დაეაუთორო, - საბრძოლო ამოცანა მოკლედ განმარტა კაპრალმა.
- რა უნდა ვქნათ?! – ჰკითხა კახამ.
- უნდა გაეაუთორო, გაეჩხრიკოთ, ასეთია ბრძანება.
- პირდაპირ გავიგო თუ უკუღმა? – დაიბნა კახა.
- პირდაპირ. იმ ორსართულიანში შედი. ფრთხილად იყავი.

კახამ ჭიშკარი შეაღო. ეზოში არავინ ჩანდა. კიბეზე ავიდა, თითქოსდა ეს-ესაა, გაიკრიფნენ მასპინძლები.

ქალაქს ქვემქების გრუხუნი და ავტომატების კანონადა აზანზარებს. ღამით უფრო შემზარავია წითელენოვანი ტყვიების წვიმა.

სარდაფის კარზე დააკაკუნა.

არავინ გაულო.

კარს ფეხი ჰკრა და ავტომატი შემართა. „ჟუკი“ ამოიღო და შეანათა.

სარდაფი საესე იყო ადამიანებით.

- ოსები ხართ?!
- კი, ქართულად უპასუხა ვილაცამ,
- რა მნიშვნელობა აქვს, - კახამ ჩაილაპარაკა.

- არ დაგვლუპო, - ქალის ხმა იყო.

კახას უნდოდა ჩამოეფლო და ყველა მათგანისათვის სახეში მიენათებინა, შეშინებული ადამიანების თვალები დაენახა, მაგრამ გადაიფიქრა, ვაითუ, თავს დაემსხანო.

„ჟუკი“ გამორთო, სარდაფის კარი გამოიხურა და გამოვიდა. შუალამისას დაბომბვა რომ განახლდა, კაპრალმა ბრძანება გასცა, დაეიშალოთ და ცარიელ სახლებში ცალ-ცალკე დაეიძინოთ.

კახა ისევ იმ სახლს მიადგა. სარდაფის კარს ზემოდან ჩასძახა:

- ნუ გეშინიათ. კარი არავის გაულოთ, მე ამაღამ აქ ვიქნები, ზევით დაეიძინებ.

ღილით კვლავ დააცხრა ქალაქს ნაღმების გლეჯა-გრიალი და ავიგამანადგურებლების ავი წვილსკდომა.

კახა ჯერ ქუჩაში გამოფარდა, მერე სასაფლაოზე შეუხვია, ავტომატი გადაადგო და საფლაოებს შორის დამალვა სცადა. სასაფლაოც დაბომბეს.

აქადა იქ, სასაფლაოზე, ერთმანეთის გვერდით იყვნენ ოსებიც და ქართველებიც.

ჭურვებისგან კედელმელქილ საყდართან კაპრალს გადააწყდა.

- რა ვქნათ, ბატონო კაპრალი?
- წაი, ბიძია, სახლში, თავს უშველე, დამთავრდა ომი.
- პირდაპირი გაგებით?! – კახას ყელი გაუშრა.
- კი... კი... მგონი, პირდაპირი გაგებით.

კახამ ახლავდა შეამჩნია, რომ ამერიკულფორმიანი ბიჭები ეზოებიდან, შეკებიდან, სახლებიდან, ჯიხურებიდან გამორბოდნენ. გამორბოდნენ ქამარშესნილები, უატომატონი, ზოგი ჯავშანფილეტს ღობეზე ტოვებდა, ზოგი სამხედრო ფორმას ქუჩაშივე იხდიდა და ნიფხავ-პერანგისამარა გამორბოდა.

- ბატონო კაპრალი, - გზაში დაეწია კახა მართონულ სირბილზე გადასულ კაპრალს – სადაა უფროსობა?!
- მცხეთაში, ხინკალს ჭამს, - კაპრალმა გაიცინა კონტუზიანი კაცის საზარელი, კბილღრჭიალა სიცილით.

თვითმფრინავმა გადაიწვილა და ბომბი სულ ახლოს გასკდა. იწვა ჭურვის ნამსხვრევებისგან ფერდმელქილი რეზერვისტი კახა ლაბაძე და შეყვარებულთან გუშინდელ საუბარს იხსენებდა.

არა, ეს გახსენება არ იყო:

- რომ არ წახვიდე?
- არ შეიძლება, რეზერვისტი ვარ.
- მითუმეტეს, თუ რეზერვი და თადარიგი ხარ, რას მიძვრები, კახა.
- დამალვისთვის 2000 ლარი ჯარიმაა.
- იცოდე, თუ დაგჭრეს, ჩემს სიცოცხლეში ხმას არ გაგცემ. სამ დღეში დაბრუნდი. დღეს ოთხშაბათია. კვირას აქ, ამ ადგილას დაგელოდები.
- კარგი.

* * *

წითელ ხიდან, აზერბაიჯანის საბაჟოსთან, ჯიბი გაჩერდა. სამხედრო პირი ჯიხურისკენ გაიქცა. ჯიბ-მერსედისთა გამწკრივებულ ქარავანს თავში მოექცა და ბეჭემოთისსახიან დევნილს ყურში ჩასძახა:

- დაბრუნდითო, თბილისში არ შემოვლენ.

... მუხათვერდის ძმათა სასაფლაოზე XX უცნობი ჯარისკაცი დასაფლავეს.

ღმერთო, შეგცოდე და, თუ დაღუპვა გიწერია, იქნებ უცნობ ჯარისკაცად დაკარგვა ჯობდეს.

გოგოს მცირე იმედი მაინც დარჩა.

რეზ მიშველაძე

აფხაზეთი-საქართველო, აფხაზები-ქართველები!

ვისია აფხაზეთი? ვისია სამოთხე? მრავალსაუკუნის აქ მობინადრე ქართველი თუ მთიდან ბარად „ჩამოწოლილი“ უცხოტომელი? ქართველი თუ ორთავა ჩრდილოელი?

ანტიკური ბერძნული წყაროები გვამცნობენ: ძვ. წ. II-I ათასწლეული. დღევანდელი აფხაზეთი — დასავლეთ საქართველოს სამეფოს — კოლხეთის ნაწილი, ქართველი ტომებით დასახლებული. ამ სამეფოსვე ამშვენებენ ქალაქები — დიოსკურია (სოხუმი) და პიტიუნტი (ბიჭვინთა) მთელ ამ სივრცეზე ისმის ერთი ენა — კოლხურ-ქართული, რომლის სათარგმნელად დღევანდელ მეგრულს, ლაზს ლექსიკონი არ ჭირდება. ჰკითხავ მას — რას ნიშნავს „უშულადუ ბჟამ მარდიმე“? მოგიგებს იმ წამსვე „დაუღლეელი მზის მადლმა“. ეს ხომ კოლხი მედეას საყვარელი საკრალური ფრაზაა.

ძვ. წ. II და I საუკუნეები — აფხაზეთში სახლობენ კოლხები, აქაველები, სანიგბეი, აფშილები და აბაზგები, ანუ დასავლეთ-ქართველური ტომები. აბაზგები არ არიან დღევანდელი აფხაზების უშალო წინაპრები, მიუხედავად „აბაზგისა“ და „აფხაზის“ ამკარა მსგავსებისა. უკვე IV საუკუნიდან ეს ტომები, მისიმიანებთან (სვანური წარმოშობის ტომი) ერთად ცხოვრობენ ლაზიკის/ეგრისის სამეფოში, რომელიც ანტიკური კოლხეთის მიწა-წყალზე დაარსდა. IV—V საუკუნეებში ყველა ეს ტომი ცხოვრობს ერთიან (ქართულ კულტურულ-აღმსარებლურ სივრცეში: კულტურა — დასავლურ-აღმოსავლურის ნაზავი და აღმსარებლობა — მართლმადიდებლურ-ქრისტიანული).

არც ანტიკურ და არც ფეოდალურ დროში აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ყოფილა. დასაბამიდან დღემდე იგი ქართული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია — პირველად კოლხეთის, შემდეგ ლაზიკის (ეგრისის), მოგვიანებით VIII საუკუნეში — ეგრის აფხაზეთის სამეფოს სახელით ცნობილი, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს (დღევანდელი აფხაზეთის ჩათვლით) მოიცავს. ბოლო საუკუნეებამდე იგი საქართველოს მთლიანი სხეულის მოუმორებელი ნაწილია.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანებაში მთავარ ლეონ II-ს და სხვა აფხაზ ფეოდალებს დიდი წილი უდევთ. მერვე საუკუნის ბოლოს ლეონ II თავისუფლდება ბიზანტიის გავლენისაგან და იღებს აფხაზეთის მეფის ტიტულს (სწორედ მისი მემკვიდრეების დამსახურება იყო IX-X სს-ში საქართველოს გაერთიანება და თვით ცნება

„საქართველოს“ დამკვიდრება: — „მეფე აფხაზთა...“) ახალი სამეფოს ჩამოყალიბების საქმეში აფხაზთა სამთავროს წამყვანი როლის გამო მას ეწოდა „აფხაზთა სამეფო“. მისი ტერიტორია გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან ჭოროხამდე, აღმოსავლეთით კი ლიხის ქედამდე. სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები — კოლხები, ქართველები, მეგრელები, სვანები არიან. უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენენ კავკასიის სხვა ხალხები. სახელმწიფო და მოსახლეობის სალაპარაკო ენა ქართულია. სამეფოს დედაქალაქად ცხადდება ქუთაისი — დასავლეთ საქართველოს ცენტრი. სწორედ აქვე არსდება ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო კომპლექსი.

მატიანე გვამცნობს XV-XVIII სს. დასავლეთ საქართველოს (ქართველ) მთავრებს შორის დაპირისპირების ამბებს.

მთავარ შარვაშიძის შვილები აფხაზეთს ერთმანეთში ინაწილებენ. თუმცა აფხაზეთის სამთავრო ისევ მთლიან დასავლეთ საქართველოს მოიცავს. მასში შედის რამდენიმე ოლქი: ბზიფი, სამნი, გუმა, აბჟუა, სამურხაყანო და წაბალდალი, რომელთა სათავეშიც დგანან თვით შერვაშიძე, აჩბა (იგივე ანჩაბაძე), ემზა (იგივე ემზვარი) ჩაჩბა ანუ ჩაჩბაია, მარშანია და სხვანი.

მხოლოდ XIX საუკუნეში დასტურდება ჩრდილოკავკასიური ტომის, აფსუების (დღევანდელი აფხაზების წინაპრები) მთიდან ბარად „ჩამოწოლა“ და აი, აქვე რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობის შხამიანი ნაყოფიც ვიგემეთ. საქართველოს რუსეთის ჯარი მოადგა. ამ დროისათვის თურქეთსაც მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული აფხაზეთში.

1810 წელს რუსეთის ჯარმა იერიშით აიღო ცხუმ-კალეს სიმაგრე. 1864 წელს რუსეთმა დასავლეთ კავკასიის დაპყრობა დაამთავრა და აფხაზეთის სამთავროს ბედიც გადაწყვიტა. ამ წელს აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე გადაყენებულად გამოცხადდა და აფხაზეთში ე.წ. „სამხედრო-სახალხო მმართველობა“ იქნა შემოღებული. რუსეთის ხელისუფლებამ სამთავროს გაუქმება „სახელმწიფო აუცილებლობად ჩათვალი“ აფხაზეთს უწოდა სოხუმის ოლქი. ქართული ანბანი რუსულით შეცვალა. 1919 წელს მიღებულ იქნა

აქტი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის შესახებ.

აფხაზები (დღეის დღის მნიშვნელობით) კერასდროს ვერ იქნებიან დამოუკიდებელი. მათი ყოველი ნაბიჯი საქართველოს მთლიანი სხეულიდან გამოყოფისაკენ ამ ეთნოსის გადაჯიშებისა და კვლომის გზაზე ღვომას ნიშნავს.

ქართველი, როგორც ხე ფესვებს, თავის მიწასაა გამობმული, მიწას, სადაც მისი შეორეული წინაპრების ძვლებია ჩაშლილი. ვიდრე ერთი ქართველიც (ჭემმარიტი) ბოგინობს დედამიწაზე, დღევანდელ ვითარებასთან შერიგება არ მოხდება!

ცისანა მიქაძე-კვერნაძე



შენი გიჟი

ხსენება კეთილმსახურისა მეფისა და ვით აღმაშენებლისა

8 თებერვალი არის ხსენება წმინდა მეფე დავით აღმაშენებლისა. გმირი მეფე განსაკუთრებული მოღვაწეობისათვის საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. უსაზღვროდ დიდია მისი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე როგორც სულიერი, ისევე ქვეყნის აღმაშენების საქმეში.

1086 წელს ავიდა ტახტზე დავით აღმაშენებელი და 36 წელი მართავდა გონიერი მეფე ქვეყანას. დავით აღმაშენებლის, როგორც პიროვნებისა და პოლიტიკოსის წარმატება მისი განსწავლულობის შედეგია.

ქართველ მეფეთა შორის ყველაზე უშიშარმა და ძლევამოსილმა ქვეყანაში მანამდე არნახული რეფორმები გაატარა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა სულიერი თვალსაზრისით იყო რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომლის შედეგადაც ეკლესია დაუქვემდებარა მეფის ხელისუფლებას და აღდგა ღირსეული საეკლესიო პირების აღსაყდრების ტრადიცია. სასულიერო პირებს უფლება ეძლეოდათ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს უზენაესი ორგანოების საქმიანობაში, მაგალითად, კათალიკოსი, მონასტერთა წინამძღვარი და სხვა მაღალი სასულიერო პირნი სამეფო დარბაზსაც ესწრებოდნენ. მეფე დიდად ზრუნავდა ეკლესია-მონასტრებზე და შეღავათებსაც აძლევდა მათ, ეწეოდა საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობას, სწირავდა მამულებს და ათავისუფლებდა



გადასახადებისაგან.

როგორც დავითის ისტორიკოსი გადმოგვცემს, მეფემ „განათავისუფლა არა მონასტერნი ოდენ და ლაზრანი მოსაკარგაუეთა მაჭირეებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოველსა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო

მსახური მიუპყრან ღმერთსა.“ დავით აღმაშენებელმა იოანე პეტრიწთან, არსენ იყალთოელთან, კათოლიკოს იოანესთან, გიორგი ჭყონდიდელთან და სხვა ღირს მამებთან ერთად დააარსა გელათის აკადემია, სადაც ისწავლებოდა: ღვთისმეტყველება, რიტორიკა, მუსიკალური ხელოვნება, ფილოსოფია, საბუნებისმეტყველო და ეკონომიკური დისციპლინები.

მეფე დავითი თავისი დროისთვის დიდად განათლებული პიროვნება იყო, მას შეთვისებული ჰქონდა ქართული საერო და სასულიერო მწერლობა, იცნობდა აგრეთვე აღმოსავლური და ანტიკური მწერლობის ძეგლებს. მასთან თეოლოგიურ საკითხებზე კამათში მარცხს განიცდიდნენ როგორც ტერტერები, ისე მოლები. დავით მეფის ისტორიკოსი ამბობს: „წინააღმდეგადად ოდესმე წიგნი სამოციქულო წარსაკითხავად და რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოს წიგნისა. ხოლო მოქცევასა წელიწადისასა მით ნიშნითა აღვუაღეთ, ოცდაოთხჯერ წარეკითხა“.

მეფე რამდენადაც მკაცრი იყო ქვეყნის ორგულთა მიმართ იმდენად მორჩილი იყო თავისი სულიერი მამისა. მას მოძღვრის კურთხევის გარეშე არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს. მან იცოდა, რომ ამქვეყნად არაფერია ქრისტეს თუნდაც ერთი სიტყვის ფასი. მთელი მისი ლალ-მარგალიტი ანდერძით ერთადერთ ხატს - ხახულის ღვთისმშობელს შესწირა. ამით შთამომავლობას კიდევ ერთხელ განუცხადა, რომ ყოველი სიმდიდრე და ყოველი განძი, მხოლოდ და მხოლოდ ღვთის სადიდებლად უნდა იყოს. წმინდა მეფეს წესად ჰქონია, გააესებდა ერთ ქისას დრაკპანით და ცდილობდა დღის ბოლომდე მთელი თანხა გლახაკებისთვის გაენაწილებინა. ფრიად განიცდიდა, თუკი დღის ბოლომდე მოწყალების მთხონელი არ შეხვდებოდა და ქისას ვერ დაცლიდა, მაშინ მწუხარედ იტყოდა ხოლმე: „დღეს ვერ მივეც ქრისტესა მარცხებითა ჩემთა ცოდვათათა“. ღარიბებისთვის განკუთვნილ თანხას იგი არც ხაზინიდან იღებდა და არც გადასახადებიდან, არამედ ომიდან ან ნადირობიდან, შემოსული ხარკიდან.

მეფე უაღრესი თავმდაბლობით გამოირჩეოდა. ამის დასტურია ის საოცარი აღსარება, რომელიც მან „გალობანი სინანულისანის“ ფორმით ხალხს დაუტოვა. იგი თავს ადარებს უმძიმესი ცოდვის ჩამდენთ, თითქმის ყველა მოგებულ ომსაც კი ინანიებს, რადგან ფიქრობს, რომ ურჯულოთაგან ქალაქებისა და ხალხის გათავისუფლების სურვილის გარდა, ანგარებიანი გრძნობაც ამოძრავებდა. თავის ასეთ დამდაბლებაში ვლინდება ზნესრული ადამიანის ხასიათი. წმინდა მეფე მწარე გოდებით იხსენიებს ყველა ცოდვას და ცრემლით ინანიებს არა მარტო მოძღვრის, ქრისტესა და ღვთისმშობლის წინაშე,

არამედ სრულიად კაცობრიობის წინაშე ამბობს აღსარებას. მისი ისტორიული სიტყვებია: „ჯამი რაი ქელილთა და ხმელთა აღმოფშვინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტდეს, შუებანი უწმ იქმენნენ, ყუაუონებაი დაჭკუნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრა, სხვასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემეწყალე, მსახურო ჩემო“. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II დავით აღმაშენებელს უწოდებს სიმბოლოს საქართველოსას და ამბობს: „ჩემთვის არ არის ცნობილი მონარქი, რომ დაეწერა ისეთი დიდებული ლოცვები, როგორცაა „გალობანი სინანულისანი“. ეს არის მსოფლიო შედეგრი. ჩანს, დავით აღმაშენებელი კარგად იცნობდა ანდრია კრიტელის კანონს, მაგრამ ბევრ შემთხვევაში „გალობანი სინანულისანი“ აღემატება მას“. 1125 წელს, 53 წლის ასაკში აღესრულა მეფე დავითი. მისი მოძღვარი არსენ იყალთოელი ასე ახასიათებს მას „სახელგანთქმული, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის, ბრძენ ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის, მშვიდ ვითარცა დავით ცხებულთა შორის, საყვარელ ვითარცა იოანე მეგობართა შორის, სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრისმძკრობელთა შორის“. ირკვევა, რომ გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე იხმო მან არსენ ბერი და მისი თანდასწრებით მეფედ აკურთხა დემეტრე უფლისწული. არსენმა ამ დროსვე ჩაიწერა ანდერძი, რაც მას ზეპირად „წარმოუთხრა“ დავით აღმაშენებელმა.

დავითის მეფობის ერთგვარი შეფასება მოცემულია მის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ეპიტაფიაში, რომელიც მისსავე მოძღვარს არსენ იყალთოელს ეკუთვნის: ვის ნაჭარმაგვეს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს, თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვრისა გარეთ გამესხნეს, თუზნი ამერთა წყალთაგან, იმერთა წყალთა შთამესხნეს, აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედა დამესხნეს.“

ანდერძის თანახმად, წმინდა დავით აღმაშენებელი დაკრძალეს მის მიერვე აგებულ გელათის მონასტრის შესასვლელში.

ეკატერინე ცირიკაშვილი





მინდა შევთხოვო უფაღს, სახეში დაბრუნდეთ ისინი, ვინც გასული ხართ საქართველოდან.

ამასწინათ რადიოში მოვისმინე ემიგრანტი ჯოჯი ქაძის სიყვებე, რომელიც ამბობს: „მთავრე დავყოვე სახლის დარაჯად“. ღმერთმა ინებოს, რომ არ დაცარიედდეს არცერთი სახედი, ღმერთმა ინებოს, რომ აღარ გავიგონოთ „მთავრე დავყოვე სახლის დარაჯად“.

სახედი უნდა ცოცხლობდეს და კერა უნდა ენთოს ყოველ სახედი! ღმერთმა დაგდოცოთ!

ჩილაძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

... და იჯდა მტრული მშობიარის საწოლთან

... და იჯდა მტრული მშობიარის საწოლთან თეთრი მტრული უხმაუროდ შემოფრინდა ოთახში, მშობიარის საწოლთან დაჯდა და მთელი დღე არ განძრეულა.

სწორედ იმ დღეს, 1933 წლის 4 იანვარს, დაიბადა იმ ოთახში ოჯახის მეშვიდე შვილი - 1977 წლის 25 დეკემბრიდან ჩვენი ეკლესიის მამამთავარი - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე.

...ჭეშმარიტად შეუფასებელია ამ მოღვაწის გარჯა და წვლილი საქართველოს ეკლესიის, მისი მრევლის - ქართველი ერის სულიერ განმტკიცებასა და გაძლიერებაში, კაცთმოყვარეობის, სათნოებისა და სიკეთის პირადი მაგალითის ძალა, თავისი სულიერი მამისგან მუდამ შეუნელებლად რომ გადმოეცემოდა და გადმოეცემა ქართველობას.

თუ მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის აღსაყდრებამდე საქართველოში მხოლოდ 48 ეკლესია

მოქმედებდა, სადღეისოდ მათი რიცხვი რვაასამდე გაიზარდა, სასულიერო პირებისა კი 40-დან - ათასამდე. საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა რაოდენობაც.

მართლაც წარმოუდგენლად ბევრი რამ გაკეთდა მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ხელდასხმით, მაგრამ ყველაფრის გვირგვინი მაინც წმინდა სამების დიდებული ტაძარია, რომელიც 2004 წლის 23 ნოემბერს ეკურთხა.

და კვლავ თეთრი მტრული...

სწორედ კურთხევის დღეს შემოფრინდა ეს ღვთის ფრინველი ტაძარში. პატრიარქის ბრძანებით იგი პატრიარქის ტახტზე დასვეს, სადაც მთელი კურთხევის განმავლობაში მშვიდად იჯდა...

სულიწმიდის მადლი არ მოჰკლებოდეს სრულიად საქართველოს, ხოლო მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია მეორის მამამთავრობა - ქართულ ეკლესიას დიდი ხნის მანძილზე.

07.01	შობა იესო ქრისტესი	08.02	წმინდა დავით აღმაშენებელი (II25)
16.01	ღირსი იოჰანე ჭყონდიდელი (XI) წმინდა ექვთიმე ღვთისკმატი (თაყაიშვილი)	11.02	წმინდა მოწამე აშოტ კურაპალატი არცაზუჯის ციხეში წამებული (829)
19.01	ნათლისღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი	15.02	მიჩქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი
21.01	წმინდა მოწამე აბო თბილელი თბილისში წამებული (786)	19.02	ღირსი მამა არსენ იყალთოელი (II27)
27.01	ქართველთა გუმანათლებელი წმინდა ნინო (V)	20.02	წმინდა მეფე სოლომონ II სამშობლოსათვის თავდადებული (1815)
02.02	წმინდა ექვთიმე აღმსარებელი კერესელიძე (1944)	25.02	ღღესასწაული ივერიის ღვთისმშობლის წაჭისა
07.02	ღირსი გაბრიელი ქიქოძე იმერეთის უმისკოპისი (1891)	27.02	წმინდა ილარიონ ქართველი ყანჩაველი.

ჯეიმსმეცნიერული ქართული ების

საოცრად რთულ და მოულოდნელობებით ინტენსიურად დატვირთულ ხანაში მოგვიწია ცხოვრება. ელვასისწრაფით იცვლება ვითარება – გარემო, ბუნება, პოლიტიკური სისტემები. ადამიანი კი არის ის ფაქიზი მოვლენა, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს ამ ცვალებადობათა ქართველობაში ორიენტაცია. ცხადია, რომ ცვლილება და განვითარება ბუნების ძირითადი კანონი, მხოლოდ ადამიანის ბუნება

არ დაუტოვებია თავისი მრევლი. საბჭოთა კავშირის – როგორც ბოლშევიკური დიქტატურის სიცოცხლისუნარი ნაყოფის - დაშლის შემდეგ, რასაც დიდი ქაოსი და არეულობა მოჰყვა, „ველიკორუსულმა“ ძალებმა დრო იხელთეს და საკუთარი იმპერიული ამბიციების მისალწევად, რიცხობრივად მცირე და სახელმწიფოებრივად მშენებლობას გადაჩვეული ან სრულიად გამოუცდელი ერები და

რიარქი ილია II. ჩრდილოეთ კავკასიაში, ყაზბეგის რაიონიდან (დღევანდელი სტეფანწმინდა) ვლადიკავკაზში ჩასახლებული გიორგი შიოლაშვილ-ლუღუშაურის და დედა ნატალია კობაიძის ოჯახში 1933 წლის 4 იანვარს დაბადებული ირაკლი, საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ქართველი სასულიერო და ინტელექტუალური საზოგადოების წრეში იზრ-

ჩვენ სიყვლილისა და ექსპოზიციის ნაძვრად არა ვაპირებთ დაშლად. თითოეული ჩვენგანის მიზანი მაქსიმალური სიცოცხლის მოპოვებაა. ყველანაირი პიარობა, მადან სოციალური ღირსების და საყვარელი წესობების. ამჟამინდელი ცხოვრება კი ეპოქაა ჩვენი სულისა.

ილია II

და მისი სულიერი სამყარო რჩება უცვლელი და სწორედ მას უჭირს ყველაზე მეტად და როგორც უახლოესი სამეცნიერო და სამედიცინო გამოკვლევები ადასტურებენ სწორედ ადამიანის ფსიქიკა და სულიერი სამყაროა, რომელიც განაგებს ჩვენს აუად თუ კარგად ყოფნას.

20 წელიწადზე მეტია, ქვეყანა და ხალხი ერთი განსაცდელიდან მეორეში ვარდება. ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც მოწინავე ქართველი სტუდენტობა კომუნისტური წყობით უკმაყოფილო ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ქართული ენისა, კულტურის და მართლმადიდებლობის სადარაჯოზე მდგარიყო, საქართველოს საპატრიარქო იყო ერთადერთი ადგილი, სადაც სულიერ თავშესაფარს ვპოულობდით. ასევე იყო 1989 წლის აპრილის უმძიმეს დღეებში, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქს

ეთნიკური ჯგუფები “გათიშე და იბატონე”-ს პრინციპით ადვილად წაჰკიდეს ერთმანეთს. ემოციურმა კავკასიელებმაც არ დააყოვნეს და კაცობრიობის წარმოშობის ეს უძველესი აკვანი ცეცხლისა და ომების კვამლში გაეხვია. აირია ქვეყანა. ძმა ძმას აღარ ინდობდა და მეზობელი მეზობელს. ძალადობა, გაუტანლობა, უდემოკრატოზა და-თარეშობა ირგვლივ. ადამიანის ფსიქიკა გაიბზარა ბოროტებისა და განუკითხაობის შიშმა შეიპყრო მავანი. სამოქალაქო ომები თუ მტრის აგრესია, პუტჩები, რევოლუციები დღენიდაგ არყვედა ახლადფეხადგმულ ქვეყანას. ერთადერთი სტაბილური და საიმედო დასაყრდენი, რომელიც ამ ქარცეცხლიან, უშუქო დღეებში თავს დასტრიალებდა სასოწარკვეთილ ხალხს და ამხნევედა რომ არ ჩამქრალიყო, ერთადერთი და საბოლოო სანთელი იმედისა გახლდათ სრულიად საქართველოს პატ-

დებოდა. ვლადიკავკაზის ქართული სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩააბარა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, ხოლო შემდეგ სასულიერო აკადემიაში. მელქისედეკ III-ს ლოცვა-კურთხევით, უკვე მეორე კურსიდან ბერად აღიკვეცა და წმ. ილია წინასწარმეტყველის პატივსაცემად ილია ეწოდა. ამ სახელის გაგონებაზე – იხსენებს უწმინდესი და უნეტარესი, ენიშნა, რომ ღვთიურმა განგებამ ძალიან მძიმე ჯვრის ტარება დააკისრა, რამეთუ ეს სახელი არაერთი წმინდანის ცხოვრებასთან ასოცირდება. 1960 წელს იგი წარმატებით ამთავრებს სასულიერო აკადემიას



მღვდელმონაზონი ილია 1959 წელი

და მიუხედავად შემოთავაზებისა, რომ გაეგრძელებინა სამეცნიერო კვლევა მოსკოვის აკადემიაში, საქართველოში კადრების ნაკლებობის გამო, სამშობლოში ბრუნდება და ინიშნება ბათუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად.

მოსკოვში სწავლის პერიოდში, სასულიერო და საეკლესიო მეცნიერების გარდა, იგი ეუფლება უცხო ენებს, მსოფლიო ისტორიასა და ლიტერატურას, ფილოსოფიასა და ხელოვნებას. გულდასმით ემზადება იმ პრობლემებისა და ამოცანების მოსაგვარებლად, რომელიც

მას სამშობლოში ელოდება. „როცა თქვენ საქართველო ჩაიბარეთ, მას სუდარა ჰქონდა გადაფარებული“ – უთქვამთ მოგვიანებით უწმინდესისათვის. ბოლო 20 წლის

საქართველოს ეკლესიას 390-400 წლებში მართავდა). უწმინდესის აზრით, იმის მიხედვით, თუ რას არქიმევნი ადამიანს შეიძლება მთელ მის ცხოვრებაზე და მომავალზე იქონიოს გავლენა. მისი ნათლობის სახელი – ერეკლე ფიზიკურ ძალას ნიშნავს, ხოლო ილია – ღვთიურ ძალას. ორივე ერთად ამ დიდი ენერჯისა ძალის შერწყმა, როგორც ღვთიური ასევე მიწიერი ძალებისა, რამაც მას საშუალება მისცა, დიდი და სერიოზული მოღვაწეობისა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

1978-1983 წლებში კათალიკოს-



მეუფე ილია

ერეკლე სახელია ქრისტესი. მისი დანიშნულება სწორედ ისაა, რომ უძველესი დროიდან დადგინებული და დასწავლავს ადამიანის სულს. სულიერი ფიზიკურად მხოლოდ ერეკლეა შინაძღვრული, რადგან სულიანობა აქ მოქმედებს მთელი ძალით და აქ აღსრულება საიდუმლოება. როგორც ეანსქორს და ეანანათორქონ მოწმადნით.

ილია II

მანძილზე საქართველოს ეპარქიათა რიცხვი 15-იდან 33-მდე გაიარდა, მონასტრებისა 53-მდე, მოხდა სასულიერო პირთა 1000 კა-ნონიზირება.

1963-1972 წლებში იგი გახლდათ მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის ძალისხმევით აკადემიად გადაკეთდა და თბილისში გადმოიტანეს. 1967 წელს გადაიყვანეს აფხაზეთის ეპარქიაში, 1968 წლიდან კი აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

1977 წლის 8 ნოემბერს სრულიად საქართველოს პატრიარქის დავით V გარდაცვალების შემდეგ, წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, ილიამ ჯერ პატრიარქის მოსაყდრედ, ხოლო 23 დეკემბერს 44 წლის ასაკში სრულიად საქართველოს პატრიარქად, ხოლო ინტრონიზაცია 25 დეკემბერს გაიმართა. სახელად ეწოდა ილია II (ილია I

პატრიარქი ილია II იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი, მიღებული აქვს მრავალი ქვეყნის საერთაშორისო საეკლესიო ჯილდო. 1998 წელს კი ნიუ-იორკის მართლმადიდებლური წმ. ტიხონის სასულიერო აკადემიამ ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მიანიჭა.

გასაოცარია, ის უდიდესი ენერჯია და თავდადება, რაც ამ ბუმბერაზმა მამულიშვილმა გამოიჩინა ერისათვის უმძიმეს პერიოდში. პატრიარქის მიერ თავგანწირვას უდრიდა, როდესაც მან გასული წლის აგვისტოში პირშიშველა ახალგაზრდა „უცნობები“ საკუთარ მიწაზე უპატრონოდ მიტოვებული და კიდევ უარესი, წაბილწული მათი გვამები „უცნობ დედებს“ დაუბრუნა.

30 წელზე მეტია, იგი გულში იხუტებს თავის სამწყსოს – გზასაცილებულსა თუ პატიოსანს, ავადმყოფსა თუ ჯანმრთელს,

უბედურსა თუ ბედნიერს, რამეთუ არაფერია ამ ქვეყნად მუდმივი, მისი საყვარელი გამოთქმის არ იყოს – „ო, მწუხარებავ დასაბამი ხარ სიხარულისა...“. ძნელი მოსაძებნია საქართველოს ისტორიაში ასეთი რთული პერიოდი – იმპერიების ნგრევა და დამოუკიდებლობის აღორძინება, სამოქალაქო ომები თუ რევოლუციები, ბუნტი თუ ლალატი, ღირებულებათა გადაფასება და ხშირად მათი დევალვაცია, რაც ყველაზე მეტად მომაკვდინებელია ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორც ჩვენ ვართ, რამეთუ არცა სიმრავლეს და არცა სიძლიერეს ფიზიკურსა თუ ეკონომიურს არ მოუყვანიფართ აქამდე, რამეთუ ჩვენზე უფრო მრავალნი და მდიდარნი გადაშენებულან, ალგვილან პირისაგან მიწისა ან ასიმილირებულან. ჩვენ მიწაზე თითქმის ყველანაირმა დამპყრობელმა დაადგა ფეხი,

რომელსაც მსოფლიო ბატონობის პრეტენზია ჰქონდა, როგორც ქრისტეს დაბადებამდე, ისე მას მერე, მაშ რა იყო ის ძალა, რომელმაც კაცობრიობის ეს ერთ-ერთი უძველესი ერი და კულტურა დღემდე გადაარჩინა თუ არა რწმენა, და ის დიდი მისია, რომელიც განგებამ დააკისრა ამ ხალხს და უძძიმეს დღეებში ყოველთვის მოუვლენდა რჩეულთ ანუ წამებულთ, რომელთაც ერი ბეწვის ხიდზე უნდა გაეტარებინა და ეჩვენა „გზა ჭეშმარიტებისა“. ამ მძიმე ჯვარის მატარებელი ილია II დარწმუნებულია მრავალტანჯული ერის სულიერ და ფიზიკურ იმუნიტეტში, მაგრამ „ფსევდოკულტურებზე აგრესიულად იკაფავენ გზას და ეუფლებიან არასაკმარისად განათლებულ ადამიანების გონებასა და სულს, რაც სამწუხაროდ მომავალ თაობებზეც ვრცელდება და მერე კიდევ უფრო რთულდება მათგან თავის დაღწევა.

2004 წლის 2 აგვისტოს საკვირაო ქადაგებაში აღნიშნავს: „თუმცა არ ვამტკიცებ, რომ ჩვენ სხვაზე უკეთესები ვართ – ყველაზე დიდი სიკეთე საკუთარი ბოროტების გარჩევა“ და რთულ პირობებში უნდა მივინდოთ უფალს – „მე ვარ გზა ჭეშმარიტებისა და სიცოცხლე“ – გზა გადარჩენის. ილია წინასწარმეტყველი (თესბი-ტელი) იმიტაც იყო ცნობილი, რომ ეხმარებოდა ადამიანებს გაერჩიათ ავი და კარგი, ბოროტი და კეთილი, რაც თავისთავად ადვილი საქმე არაა და მუხრან მაჭავარიანის ლექსის არ იყოს – „როგორ გავიგო ვინ არის სწორი, როცა ერთმანეთს ვით ყურსა ყური, ჰგავს ფიცი მართლის და ფიცი მტყუვნის...“

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე საკითხი, რომელსაც ერის გადაშენებამდე მივყავართ, არის დემოგრაფიული პრობლემა. ქართველი მოსახლეობის 2-მილიონამდე მოქალაქემ უცხოეთს შეაფარა თავი, საკუთარ ქვეყანას და კულტურას მოწყვეტილნი ნელ-ნელა შორდებიან დედ-სამშობლოს. უკიდურესად გამწვავებული დემოგრაფიული მო-ნაცემების გამოსასწორებლად პატრიარქი ყოველ მესამე და მეოთხე ქართველ ბავშვს საკუთარი ხელით ნათლავს და ოფიციალურად ნათლიმამობას იღებს თავის თავზე. შედეგმაც არ დააყოვნა და ახალშობილთა რიცხვმა აშკარად მოიმატა ქვეყანაში.

ილია II-ს სიტყვას და საქმეს ყოველთვის ღვთიური ძალა ახლავს. რაც არ უნდა დიდი პრობლემა თუ ვნებათაღელვა ყოფილიყო ქვეყანაში, უწმინდესი და უნეტარესი იყო და არის ის ყველაზე მაღალი ინსტანცია და მორალურ-ზნეობრივი ნიშნუში და მაგალითი, რომელიც ერს სიმშვიდის და სწორი და გაანალიზებული გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება. თუმცა კარგ მთქმელს კარგი გამგონი სჭირდება. პერმანენტულად დაძაბულ და პოლარიზებულ საქართველოში, იგი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს მონახოს მაქსიმალურად

ოპტიმალური გადაწყვეტა იმ ურთულესი ამოცანების, რომელიც ამ პატარა საქართველოში დღევანდელი მსოფლიოს პრობლემათა ფოკუსად იქცა. მონანიება და შენდობა ქრისტიანული დოგმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია და სწორედ ამას გულისხმობდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, როდესაც 2004 წელს ინტრონიზაციის დღეს თავის ქადაგებაში მიმართავდა ყველა კავკასიაში მცხოვრებ ერს: „ჩვენ ყველამ უძძიმესი ცოდვა ჩავიდინეთ – ერთმანეთზე აღვმართეთ ხელი – ამიტომ ვთხოვთ უფალს შენდობა ჩვენი ცოდვებისა და შეცდომებისათვის, ჩვენ საგანგებო პერგამენტზე დაწვერეთ ვედრება ჩვენი ცოდვათა მონანიების და ისე მივმართეთ უფალს, რომ დაგვეხმაროს, მონახოს გზა მშვიდობისა და შერიგებისათვის. უბრალო ხალხში ქართველებს, ოსებს და აფხაზებს შორის არასოდეს არ გამქრალა ძმური დამოკიდებულება“ – ამბობს უწმინდესი.

ილია II-ს შესახებ ბევრი რამ დაწერილა და თქმულა, მომავალში კიდევ უფრო მეტი დაიწერება. ბოლოს, მინდა მის უამრავ დამსახურებათა შორის კიდევ ერთს შევხვო – ბაგრატიონთა სამეფო სტატუსის აღდგენის იდეა. ბოლო მოვლენებით გულგატეხილ და კარმიდამო-დაკარგულ და ხიზნად ნაქცევ მოსახლეობას იმედის ნაპერწკალი რომ არ ჩაუქრეს, პატრიარქს სურს სამეფო მონარქიული ატრიბუტების რეანიმაციის მოხდენა, რათა ამით საქართველოს საბოლოოდ დაედგას სახელმწიფოებრივი გვირგვინი.

უწმინდესის და უნეტარესის ჯანმრთელობას ბოლო პერიოდში საფრთხე შეექმნა. იგი ამ წლის დასაწყისში სამკურნალოდ ქ. ბერლინში ჩამოვიდა. მისი მრევლის ათასობით წევრი აცილებდა სამკურნალოდ გამომგზავრებულ ერის სულიერ და ზნეობრივ მოძღვარს.

მომიტვეთ, რომ მე ვერ შევძელი უწმინდესის საკადრისი წერილი დამეწერა და გთხოვთ ყველას უფალს შევავედროთ მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

ინფორმაციისთვის: დაიწერა და გამოიცა წიგნი „პატრიარქი“, სადაც დაინტერესებული მკითხველი კონკრეტულად გაეცნობა ინფორმაციას ილია II ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ინფორმაცია ინტერნეტში
<http://www.patriarchate.ge>

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
ელიკო წიკლაური-ლამიხი
ქ. ფრაიბურგი

გერმანიის ქართული სათვისტომო მოვიწოდებთ ყველას ერთად ვილოცოთ პატრიარქის სწრაფი გამოჯანმრთელებისათვის.

მალე გვეპოვოს გზა

დღეს ჩვენი ჟურნალის სტუმარია ინგოლშტადტის ქართული კამერული ორკესტრის წევრი, ახალგაზრდა მუსიკოსი **ლექსო ჩუბინიშვილი**. ლექსო ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში შეურთდა სახელგანთქმულ ორკესტრს. მას შემდეგ კი, აგერ უკვე მეორე ათწლეული შემოიპარა. ლექსო კვლავ ახალგაზრდული შემართებით მოღვაწეობს ქართულ ორკესტრში და ყველანაირად ცდილობს უცხოეთშიც მძაფრად შეინარჩუნოს ის ქართული სულისკვეთება, რომელიც მას სამშობლოდან მოჰყვება.

— ლექსო, ამჯერად შენი სახით გრძელდება ის ციკლი, რომელიც ჩვენი მკითხველისათვის ინგოლშტადტის ქართული კამერული ორკესტრის წევრთა გაცნობას ითვალისწინებს. მეც, როგორც ყოველთვის ინტერვიუს ტრადიციული შეკითხვით დავიწყებ და შენი ავტობიოგრაფიული შტრიხებით დავინტერესდები.

— დაუბადე თბილისში, მუსიკოსების ოჯახში. მამა, ოთარ ჩუბინიშვილი – ჩელისტი, თბილისის კ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორია. იგი არის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის წევრი. დედა, მანანა ჩიქოვანი პროფესიით პიანისტია. ბუნებრივია, ჩემი მომავალი პროფესიის განსაზღვრა ოჯახის წევრებს თავსატეხს არ შეუქმნიდა. როგორც მაშინ მიღებული იყო, მეც 6 წლის ასაკიდან შემეყვანეს ნიჭიერთა ათწლეულში, სადაც ვიოლინოს სპეციალობას ვეუფლებოდი პროფესორ ლეო შიუკაშვილის კლასში. საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლისას კი ბატონ კოსტანტინე ვარდელის სტუდენტი ვიყავი.

კონსერვატორიის მე-5 კურსზე ვსწავლობდი, როცა ქალბატონი ლიანა ისაკაძის მოწვევით შესაძლებლობა მომეცა ჩამოვსულიყავი გერმანიაში და იმ დროისათვის ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრში დამეკრა. მაშინ ძნელად თუ წარმოვიდგენდი, რომ უცხოეთში დიდი ხნით მომიწევდა დარჩენა. ამდენად, შემდეგ უკვე აქედან მომიწია საქართველოში ჩასვლა და კონსერვატორიის დამთავრება. ასპირანტურაში სწავლა კი ქალაქ ლინცის ბრუკნერის სახელობის მუსიკისა და თეატრის უნივერსიტეტში გვაგარძელებს.

მეუღლე სალომე ცხაკაია-ჩუბინიშვილი პროფესიით ფსიქოლოგია. თუმცა სამშობლოში მიღებული მუსიკალური განათლება მასაც აძლევს საშუალებას იმუშაოს მუსიკის პედაგოგად. ჩემი შვილები ოთარი და მარიამი გიმნაზიის მოსწავლეები

არიან. ოთო როიალზე უკრავს, მარიამი ვიოლინოზე. სურვილი გვაქვს, რომ იგი პროფესიონალ მევიოლინედ გაიზარდოს. მარიამი არაერთხელ გამხდარა საქალაქთაშორისო თუ ბავარიის რეგიონალური კონკურსების ლაურიატი. ამა წლის 7 თებერვალს ქ. ინგოლშტადტის ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსზე „Jugend musiziert“, მარიამისა და ოთოს დუეტს პირველი ადგილი მიანიჭეს.

— ლექსო, სხვა რომელი ჟანრის მუსიკას ანიჭებ უპირატესობას?

— ძალიან მიყვარს ჯაზი, ბოსა-ნოვა და მუსიკის ყველა განხრა, სადაც ჯაზური ელემენტია. პრიმიტიურ მუსიკას ვერ ვუსმენ.

— მუსიკოსის გარდა თავი შეგიძლია წარმოიდგინო სხვა პროფესიის ადამიანად?

— არა. მუსიკა იყო თავიდანვე და დარჩება მუდამ.



მამა-შვილი, ოთარ და ლექსო ჩუბინიშვილები



ოთო და მარიამი

— **შენი პობი?**

— პობიც მუსიკასთან არის დაკავშირებული. ვუკრაუ გიტარაზე. ძალიან მიყვარს ბრაზილიური მუსიკა.

— **ლექსო, მამაშენის ნათქვამია: “შენს ქვეყანაში უნდა იცხოვრო, ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი კომფორტი”.** მე ეს სიტყვები საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის შესახებ დაწერილ წიგნში ამოვიკითხე და ჩავინიშნე კიდევც. თუმცა, დღეს ქართველების უმეტესობა სხვაგვარად ფიქრობს. მათ მიაჩნიათ, რომ კომფორტული ცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ მატერიალურად კეთილმოწყობილ გარემოში. შენ რომელ აზრს ითვალისწინებ?

— მართალია, სამშობლოში ცხოვრება ყველაზე დიდი კომფორტია. მაგრამ ფაქტია, უამრავი ადამიანი გამოექცა ამ კომფორტს. როგორც გითხარი, მე-5 კურსის სტუდენტი ვიყავი აქეთ რომ წამოვედი, უკვე მყავდა ცოლი და 8 თვის შვილი. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში მხედრიონი დათარეშობდა, აღარაფერს აღარ ვიტყვი უშუქობასა და უწყლობაზე. ოჯახი როგორღაც ხომ უნდა გადამერჩინა. მაშინ ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, როცა ქალბატონმა ლიანამ ამიყვანა ორკესტრში სამუშაოდ. მართალია, მაშინ მეგონა, რომ სამშობლოში მალე დაებრუნდებოდი, რომ ეს თავშესაფარი მხოლოდ დროებით დაგეჭირდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ გადის ათწლეულები და ჩვენ უკან დასაბრუნებელ გზას ვერ ვხედავთ. ამასობაში აქეთაც ვეჩვევით. თუმცა, რასაც ვაკეთებ ყველაფერს ისევ საქართველოსათვის, ბავშვებსაც ქართულად ვზრდი. მომავალშიც, როცა გაიზრდებიან, მინდა საქართველოში დაბრუნდნენ და არ განცალკევდნენ.

ღიან, იდეალური და კომფორტული იქნებოდა

მეცხოვრა საკუთარ სამშობლოში, მქონოდა სამუშაო და ხელფასი, რომლითაც ოჯახის რჩენას შევძლებდი.

— **ლექსო, მოდი ისევ მუსიკალურ სამყაროს დაუბრუნდეთ. გვითხარი, თანამედროვეობის ცნობილი კომპოზიტორები თუ შეიძლება შევადაროთ მოცარტს, ბეთჰოვენს, ჩაიკოვსკს და სხვა კლასიკოს გენიოსებს?**

— თანამედროვეობაში იწერება კარგი მუსიკა, გენიალური კი უკვე დაწერილია. მათ ახლის დაწერის საშუალება აღარაფერს აღარ დაუტოვეს.

— **ვინ არის შენთვის დღეს მევიოლინე “ვარსკვლავი”?**

— მე ძალიან მომწონს ლიზა ბათიაშვილი. იმის გარდა რომ ის ქართველია, იგი ჩემთვის ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მევიოლინეა.

— **როგორ გგონია, რამდენად არის თანამედროვე საზოგადოება მზად კლასიკური მუსიკის აღსაქმელად?**

— მასები მას არ ისმენენ. თუმცა, ევროპაში კლასიკურ მუსიკას თავისი მსმენელი ჰყავს.

— **ლექსო, რახან ახალი წლის პირველი ნომრის სტუმარი ხარ, მეკვლეობაც შენთვის მომიხდვია. რას უსურვებდი საქართველოს და ქართველობას შინ თუ გარეთ?**

— მშვიდობას. არმინდა ლოზუნგებად ქცეული სიტყვები გავიმეორო და ყურადღება იმაზე გავამახვილო, რაც ყველას ასე გეტკივა. ხალხს გაჭირვების გარეშე ცხოვრებას ვუსურვებდი. სამსახურის შოვნას და ელემენტარული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს ვუსურვებ მალე ეპოვოს ის გზა, რომელიც მათ სამშობლოში დააბრუნებს.

ნინო ცხომელიძე-დეპერშიდტი

გთავაზობთ გერმანიის ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში აღიარებულ დამოწმებულ თარგმანებს საგაყიდვებლო “ISO-Norm“-ის დაცვით ხანმოკლე ვადაში და შეღავათიან ფასებში.

მაკა ბაუერი, დიპლ.-გერმანისტი, სამგზის ნაფიცი მთარგმნელ-თარჯიმანი გერმანიაში
მთავარი ბიურო: Industriestr. 23, 97437 Hassfurt
ტელ.: 09521/958459; მობ.: 0160/92223212;
Fax: 09521/1258
www.dolmetscher-georgisch.de
maka.bauer@gmx.de

ბიურო მიუნხენში: Thierschstr. 28, 80538 München
089/3234202; 0179/2559199

გერმანია - მეგობრობის ქვეყანა

ფართალ „ქართლის“ ფარსლოებზე ვაგობლოებთ აზინძის. ზობოქობისა და აზალციხის სკოლებში 2008 წელს ჩაცარებული კონკურსის მონაწილეთა საყ-
ვეთსო თებების ვაძოქვეყნებას. კონკურსის სათაყობი ვახლდათ: „გერმანია
- მეგობრობის ქვეყანა“.
გერმანიის ქართული საცვისცოდო 2009 წელსაც ვანაგობობს ამ კონკურსის
მხარდაჭერას და წელსაც უძასინძლებს ვაძარვეყნულ კონკურსანცს.

(თებები იბეჭდება უსვლოლად)

**DEUTSCHLAND IST DAS
LAND DER FREUNDSCHAFT**

Giorgi Chwedelidse



Deutschland ist das Land mit der ältesten Kultur und Entwicklung. Seit Jahrhunderten hatte Deutschland oft verlorene Kriege, die sie selber angefangen hatten, trotzdem entwickelten sich schnell wieder Freundschaften mit vielen anderen Ländern und jetzt reicht es die Hand der Freundschaft Georgien.

Freundschaft zwischen Georgien und Deutschland beginnt seit XX Jahrhundertwende. Gerade in diesem Jahr hat man in "Tbilissi" die Straße "Saarbrücken" eröffnet aus Respekt vor der Stadt in Deutschland "Saarbrücken". Danach folgte die

Freundschaft zwischen den Studenten und zwar in "Tbilissi" und "Saarbrücken", es gab ein Programm, das die Studenten ausgetauscht wurden. .

Meiner Meinung nach, ist Deutschland das Land der Freundschaft, weil in Deutschland Menschen der unterschiedlichsten Nationalitäten miteinander leben. Auch heute gibt es solche Programme und nicht nur in "Tbilissi" und in "Saarbrücken", sondern im ganzen Georgien und ganzen Deutschland. Damit können die Kinder die Kultur von zwei Ländern besser kennen lernen, um die Freundschaft zu festigen.

Das georgische Volk hat mehr über Freundschaft der Deutschen gehört von den Zwangsarbeitern, die im II. Weltkrieg in Deutschland arbeiten mussten. . Man erzählt, dass im II. Weltkrieg Deutsche gegen georgische Soldaten gekämpft haben, da die Georgier zur Sowjetarmee gehörten.

Ich freue mich, dass Deutschland als Gäste auch georgische Lehrer einlädt. Das Projekt heißt "Pädagogischer Austauschdienst". Daran haben auch die Lehrerinnen meiner Schule teilgenommen. Sie können jetzt erzählen, was sie selbst gesehen und selbst erlebt haben. Deutschland ist inzwischen mit der ganzen westlichen Welt befreundet, auch viele östliche Länder gehören schon zu ihren Freunden. . Ich habe über das Internet einen Brieffreund. Wir schreiben einander Briefe und senden uns Fotos auch Landschaftsbilder, wenn ich Freizeit habe.

Wenn ich deutsche Besucher (Touristen) treffe, habe ich immer Lust sie einzuladen und auch deutsch mit ihnen zu sprechen. Mich begeistert die Freundschaft zwischen diesen Ländern und ich will zuerst an diesem Projekt, dem unseres Landsmannes, Leri Dataschwili, teilnehmen. . Dann wolle ich mit ihrer Hilfe die Kultur und die Bräuche der Deutschen besser kennen lernen. Ich will auch ein Ast dieser Freundschaft sein, das wird meinem Land und meinen Freunden gefallen. Ich habe auch daran gedacht, wie ich mein Land den Deutschen etwas näher bringen kann, was werde ich mitbringen, dass sie Georgien und mich besser verstehen können.

Ich hoffe es gelingt mir ,ich werde mein Traumland besuchen, das Land dessen Sprache ich schon 8 Jahre lerne und fast so liebe wie meine Muttersprache. Ich bedanke mich schon jetzt.

Deutschland – das Land der Freunde

Schorena Gosalischwili



Vor meinem Schreibtisch hängt eine große Landkarte von Europa. Darauf sind rote Fähnchen. Das sind Länder, wo ich Freunde habe. Seit vorigem Jahr steckt ein kleines Fähnchen auch auf Deutschland und zwar auf Frankfurt. Also ist Deutschland auch das Land meiner Freunde. Wie es geschah?

Ich tanze in der Tanzgruppe. Wir haben voriges Jahr eine Konzerttour durch einige Länder gemacht. Wir waren durch Italien, Frankreich und andere Länder gereist. Das Reiseziel aber war England. Dort fand das Jugendfestival statt. Wir waren die ersten von Georgien, die an diesem Festival teilnahmen. Das Festival hatte das Motto -„Frieden der ganzen Welt“. Die Jugendlichen aus vielen Ländern nahmen daran teil. Da war auch eine Gruppe aus Deutschland.

Lisa und ich befreundeten uns vom ersten Tag an. Wir erzählten einander über unsere Länder, Sitten und Kulturen. Wir wechselten unsere Adressen und stehen seitdem im Briefwechsel. Sie ist sehr intelligent, lustig und freundlich. Wir haben gemeinsame Hobbys: Musik und Sprachen. Wir schreiben einander deutsch und englisch. Es hilft mir sehr beim lernen. Jetzt sitze ich abends auf dem Balkon und warte auf Lisas Brief.

Lisa ist nicht die einzige Freundin aus Deutschland. Ich hatte auch vorher schon deutsche Freunde. Die Freunde aus den Büchern von den Gebrüder Grimms, Andersen und von Johann Wolfgang von Goethe „Die Leiden des jungen Werther. Die waren aber „virtuelle“ Freunde, obwohl ich viel mit ihnen gesprochen und zusammen geträumt habe. Natürlich bei der Musik der bekannten deutschen Komponisten, die ich oft in meiner Freizeit höre.

Georgischer Schriftsteller N. Dumbadse schreibt: Wenn der Himmel ein Spiegel wäre, würden die Menschen einander sehen, über die Leiden und Freude von einander erfahren. Sie würden die anderen lieb haben. Und nie gegen einander kämpfen können. Diese Worte habe ich Lisa geschrieben. Sie war auch betroffen Sie findet auch, dass die Menschen in der Welt nichts zu teilen (?)haben. Wir-Jugendliche -mögen einander, wir möchten reisen, viele Länder kennen lernen, zusammen tanzen und singen, wie es Lisa und ich in England gemacht haben. Dann werden die Länder selbst Freunde.

So ist für mich jetzt Deutschland nicht nur ein land im Mitteleuropa (aus der Landkarte Europas), sondern das Land meiner Freundin Lisa, die ich als beste Erinnerung von meiner Reise habe.

გამარჯვება წვიშიან ჰაიდელბერგში



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ჰაიდელბერგში, ერთა თასის გათამაშების პირველ მატჩში, გადაუღებელ წვიმაში მასპინძელთა ეროვნული ნაკრები 38:5 დაამარცხა. ბორჯღალოსნებმა წარმატებული სტარტი აიღეს. თუმცა ამ მატჩში ყველაფერი თავიდანავე კარგად ვერ აეწყო. ანგარიში გერმანელებმა მე-14 წუთზე გახსნეს. ჩვენ მორაგბეებს ხელიდან გარემარბი ბენჟამინ ბრიერლი დაუსხლტა და ლელო გაგვიტანა - 5:0. ცხადია, ასეთ დასაწყისს არავინ ელოდა. ქართველი მორაგბეები სრულიად უწყინარ სიტუაციებში ბურთს ხშირად კარგავდნენ, რაც მასპინძლებს აქტიური თამაშის საშუალებას აძლევდა. ბორჯღალოსნებმა თამაში პირველივე ნახევარში დაალაგეს, რაშიც დიდი წვლილი, გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან საქომადოდ ჩასულ ხუთასამდე ქართველსაც მიუძღვის. რომლებიც ჩვენ ბიჭებს ომახიანად ამხნევებდნენ. ჯერ გარემარბმა ირაკლი ჩხიკვაძემ მითვალა ლელო მე-20 წუთზე. მერე კი 11 წუთში, შერკინების პირველხაზელმა დავით ზირაქაშვილმა იყოჩაღა. გარდასახვა ორივეჯერ ვერ გავიტანეთ - 10:5.

სამწუხაროდ, სალელივე შეტევისას ზირაქაშვილი მძიმედ დაშავდა. სავარაუდოდ მას ჯვარედინი იოგები გაუწყდა, რის გამოც დათოს ოთხიდან ექვს თვემდე გაუცდება. მის ნაცვლად ტიმ ლეინმა პორტუგალიელებთან სასპარზოდ „ტულონის“ შერკინების ბურჯი დავით ქუბრიაშვილი იხმო.

მეორე ნახევარში საქართველოს ნაკრებმა მოწინააღმდეგეზე ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერა. თუმცა გერმანელები თავს კარგად იცავდნენ და ანგარიშის გაზრდა ბორჯღალოსნებმა მხოლოდ 56-ე წუთზე შეძლეს. ამჯერად ლელო კიდევ ერთი გარემარბის ირაკლი მაჩხანელის ანგარიშზეა. გარდასახვა მერაბ კვირიკაშვილმა დაარტყა ზუსტად -17:5.

მერე კი, 62-ე და 72-ე წუთებზე შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა მამუკა გორგოძემ ზედიზედ ორი ლელო გაიტანა. მატჩის მიწურულს, ბოლო მეექვსე ლელო შუამარბმა დავით კაჭარავამ მითვალა. კვირიკაშვილმა ყველა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 38:5. გიორგი ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

„თავიდან თამაში ძალზედ არეული იყო. წვიმდა, ყოველი მეორე გადაცემისას ბურთი ხელიდან გვივარდებოდა. მერე ნელ-ნელა დავლაგდით და მთელი სიმძლავრით ავმუშავდით. მსაჯმა ექვსი ლელო არ ჩაგვითვალა. ორი პირველ ტაიმში და ოთხიც მეორეში. ბრწყინვალე სათამაშო მომენტები გვქონდა. პირველი თამაში იყო და, ცხადია, ჯერ კიდევ დასახვეწია კომბინაციები. მომავალ თამაშში პორტუგალიასთან ეს ყველაფერი კიდევ უფრო უკეთ გამოჩნდება. გერმანელებს ცუდი გუნდი არ ჰყავთ. რაც შეეძლოთ ბოლომდე იბრძოლეს. ვფიქრობ, ერთა თასის რომელიმე გუნდს აუცილებლად გაამწარებენ.

სამწუხაროდ, სერიოზულად დაშავდა დავით ზირაქაშვილი. მას ჯვარედინი იოგები გაუწყდა. კოჭი გადაუბრუნდა მერაბ კვირიკაშვილს, მაგრამ სამიში არაფერია. პორტუგალიასთან აუცილებლად ითამაშებს.“



საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 7 თებერვალს დაიწყო 2009-2010 წლის ევროპის ერთა თასის გათამაშებაში მონაწილეობა.

საქართველოს ნაკრები ჰაიდელბერგში, სტადიონ "Fritz-Grunebaum-Sportpark"-ზე გერმანიის ნაკრებს დაუპირისპირდა. გერმანიის ნაკრები ტურნირის დებიუტანტია. იგი ჩაენაცვლა ევროპის ერთა თასის გათამაშებიდან გავარდნილ ჩეხეთს.

გერმანიის ნაკრებს საქართველოს ნაკრები მხოლოდ ერთხელ დაუპირისპირდა - 1995 წლის 15 ოქტომბერს "დინამოს" სტადიონზე ქართველებმა 14:3 გაიმარჯვეს.

2009-2010 წლის ერთა თასის გათამაშების მნიშვნელობა ერთი-ორად იზრდება იმ ფაქტის გამო, რომ ამ ტურნირის ორი გამარჯვებული ყოველგვარი შესარჩევი ეტაპების გავლის გარეშე ხვდება 2011 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაზე.

FIRA AER-ის ევროპის ერთა თასის გათამაშება წელს მეშვიდედ იმართება. საქართველოს ნაკრები ორჯერ იყო ევროპის ერთა თასის მფლობელი (2001 და 2007/08 წლებში). რუმინელები ამავე ტიტულს ფლობდნენ სამჯერ, პორტუგალიელები კი ერთხელ.

ჩვენთვის მთავარი შეხარჯვება

გერმანიისა და საქართველოს ნაკრებების შეხვედრის წინ, გერმანულ სარაგბო ვებ გვერდზე www.rugbytotal.de გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს ნაკრების კაპიტან ირაკლი აბუსერძიძესთან, რომელიც აიღეს მისმა თანაკლუბელებმა ალექს ვიდიკერმა და კლემენს ვონ გრუბკოვმა.

ალექსი და კლემენსი:

"აბუ, შენ "ორლენში" გერმანიის ნაკრების სამ მორაგბესთან ერთად თამაშობ. სამივესათან ახლო, მეგობრული ურთიერთობა გაკავშირებს. რა გამწყობა გეუფლება, როცა იცი, რომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მათ წინააღმდეგ უნდა ითამაშო?"

ირაკლი:

"საკმაოდ დიდხანს ველოდებოდი და როგორც იქნა, გერმანიამ ერთა თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. ოცნება მქონდა თქვენ წინააღმდეგ მეთამაშა (იციანის). სიმართლე გითხრათ, მართლა მიხარია. ეს ჩვენი ნამდვილი ბრძოლა იქნება და არა ისეთი "ორლენში" ვარჯიშების დროს რომ გვიწევს."

ალექსი და კლემენსი:

"თამაში, როგორც იცი, ჰაიდელბერგში გაიმართება. შენ უკვე გითამაშია ამ ქალაქში. რას ელი ჩვენი ნაკრებისგან?"

ირაკლი:

"სულმთუთქმელად ველი ამ მატჩს. ალაღად გეტყვით, ნამდვილად არ ვიცი შეხვედრაში რა მოხდება. მე მითამაშია გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ ოლონდ, მხოლოდ, შვიდკაცა ნაკრების შემადგენლობაში. კლასიკური რაგბის ნაკრები კი, რა ძალისაა წარმოდგენა არ მაქვს. თქვენ ჩვენთვის ახალი მოწინააღმდეგეები ხართ"

ალექსი და კლემენსი:

"გერმანიის ნაკრები დებიუტანტია. თქვენი გუნდი კი, ერთა თასის მოქმედი ჩემპიონია. ფიქრობთ, ჩვენი ნაკრებების ბრძოლა დავითისა და გოლიათის



ბრძოლას დაემსგავსება. შენ როგორ ფიქრობ?"

ირაკლი:

"ჩვენ რომ აშკარა ფავორიტები ვართ, ეს ცხადია. საქართველოს ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა საფრანგეთის ჩემპიონატის წამყვან კლუბებში ასპარეზობენ. საფრანგეთში გერმანელი მორაგბეებიც ირჯებიან, თუმცა ისინი ძალზე ცოტანი არიან. აი, თუნდაც თქვენ. იცოდეთ, თამაშისას სულ თვალთახედვის არეში მეყოლებით, ამოსუნთქვის საშუალებას არ მოგცემთ (იციანის)."

ალექსი და კლემენსი:

"მსოფლიოს პრესა საკმაოდ დიდი ხანია საქართველოსა და რუსეთის ხანგრძლივი კონფლიქტის შესახებ წერს. არადა, რუსებთან პირისპირ მოგიწევთ მოედანზე შეხვედრა. არის თუა არა ეს კონფლიქტი დამატებითი მოტივაცია თქვენი ბიჭებისთვის?"

ირაკლი:

"რუსების წინააღმდეგ თამაშს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ურთულესი ბრძოლებში, ყოველთვის საკმაოდ ხისტი, თავდაუზოგავი თამაშები გამოგვიდიოდა.



ჩვენ უკვე 15 წელიწადია რუსებთან არ წავგვიცა. ომი, ცხადია, ამ თამაშს კვალს დაატყობს. მატჩი კიდევ უფრო უშეღავათო იქნება და რუსები ყველა ღონეს მიმართავენ მიზნის მისაღწევად. მაგრამ, ჩვენ როგორც ყოველთვის მათ არაფერს დავუთმობთ. პოლიტიკა, ცხადია, მაინტერესებს, მაგრამ ჩვენ სპორტსმენები ვართ და არა პოლიტიკოსები. მწვანე მინდორზე კი, პოლიტიკურ პრობლემებს ვერ მოაგვარებ. ამ ომის გამო რუსებთან მატჩი ნეიტრალურ მოედანზე უკრაინაში გაიმართება.”

ალექსი და კლემენსი:

“როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა საფრანგეთის პროფესიონალთა გუნდებში თამაშობენ. ჩამოვა თუ არა თქვენი გუნდი ჰაიდელბერგში თავისი საუკეთესო შემადგენლობით?”

ირაკლი:

“ჩვენმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა, რომელიც თავის დროზე ვოლაბებს, ბოკესა, “კლერმონსა” და “ტულონს” წვრთნიდა, შოტლანდიაში გამართული ტურნეს შემდეგ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ნებისმიერ გუნდთან, მიუხედავად მისი სიძლიერისა, აუცილებლად უძლიერესი შემადგენლობით აპირებს თამაშს. კარგად იცით, ერთა თასის ეს გათამაშება მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა და თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. გარწმუნებთ, ჩვენი ნაკრები თქვენ გუნდს აღმაცერად სულაც არ უყურებს და სერიოზული ბრძოლისთვის ემზადება. ჩვენი მთავარი გამარჯვებაა. ვისთან? ამას მნიშვნელობა არ აქვს.”

www.lelorugby.ge

ჯგუფი

8/15 თამაში	მოგ.-ნაგ./შრკ	ქულა გატ.	პაშ.
რუსეთი	2-0	4	60:29
რუინეთი	2-0	4	41:10
საქართველო	1-0/0	3	58:23
პორტუგალია	1-1/1	3	78:44
ესპანეთი	1-2	2	47:72
გერმანია	0-4	0	22:126

შედეგები

რუსეთი	42:15	ესპანეთი
ესპანეთი	22:11	გერმანია
გერმანია	5:38	საქართველო
ესპანეთი	10:19	რუინეთი
პორტუგალია	14:18	რუსეთი
საქართველო	20:20	პორტუგალია
გერმანია	0:22	რუინეთი
პორტუგალია	44:6	გერმანია

მოგავალი თამაშები

ესპანეთი	28.02	საქართველო
რუინეთი	28.02	რუსეთი
საქართველო	14.03	რუინეთი
პორტუგალია	15.03	ესპანეთი
რუინეთი	21.03	პორტუგალია
რუსეთი	22.03	საქართველო
გერმანია	02.05	რუსეთი

შატილი ჩაქვტილ სივრხეში და „სმოკოპოზის“ ალათი



შატილი არ არის რომელიმე თემის ან კუთხის კუთვნილება, იგი მთელი ერის საჩუქარია ისტორიისაგან ნაბოძები.

შატილი ნებისმიერ კულტურულ ქვეყანას ეყოფოდა საამაყოდ: ბედნიერია ერი ვისაც ეს დიდებული, ნაცრისფერი ციხე-ქალაქი უდგას! რა სიხარულია აქ ყოფნა, თუნდაც მის ახლო-მახლო სიარული, გამოგნებელია მისი უეცარი შემოფეთება უცნობი, თუ შინაური მგზავრისთვის!

შატილი ისტორიულ სივრცეში ჩაკეტილი ციხე-სოფელია: იგი ერთიც არის და მრავალიც, ერთი შესასვლელით მთლიან კომპლექსში და ცალცალკე შესასვლელით ყოველ სახლში (კოშკი). შატილის შუკები დახურული იყო. ციხე-სოფლის შუა ქუჩას – ინგური ერქვა??! როგორც შუმერთა ქვეყანას?

50-მდე კოშკს ისე მოივლიდა შატილიონი, ისე გაივლიდა შუკებს და გადავიდოდა კოშკიდან კოშკში, რომ გარედან მისი დანახვა შეუძლებელი იყო უცხო თვალისაგან, ხოლო შიგნიდან გარეთ ყველაფერი ნათლად მოჩანდა მრავალი სათვალთვალო სარკმლიდან.

.....

შატილის ყველა კოშკი ერთმანეთს იცავს, ერთი კოშკის სარკმელი მეორისას უყურებს, თუ შუკაში ან რომელიმე კოშკის ქვა-კიბეზე მტერი შემოაღწევდა, მეორე კოშკის სარკმელიდან მოიკვლოდა. შატილს სარანგნი, „უხორცო“ ანუ ღვთისაგან „საფარველდადებული“ მეომრები იცავდნენ!

ყოველ კოშკს თავზე გოხების დასაწყობი ჩარდახები ჰქონდა – საჭირო შემთხვევაში ქვასაც

ხმარობდნენ მომხდურის წინააღმდეგ. ღამით კედლებს კი ჩირახით ანათებდნენ, რომელსაც მტრის ნასროლი ტყვია ან ისარი უფრო აღვივებდა და მეტ სინათლეს გამოცემდა. . .

წყალს დარნით იღებდნენ, ადმოსავლეთის კედელთან ჩამდინარე მდინარიდან, თუ ვინიცობაა დარნით ვერ ჩავიდოდნენ, თხორებს („ძაფის გორგალს“) ჩაუშვებდნენ სამხრეთის კედელთან ჩამდინარე წყალში და იმით ამოჰქონდათ. . .

ესმდინარეიყო „ხმისგამტეხი“ – იგიატყობინებდა შატილს ხიფათს: მტრის მოახლოებისას იმღვრეოდა, ცხენთა ფლოქვების გავლაზე ფერს იცვლიდა...
.....

შატილიონს თავისი გენიალური ციხე-სახლის შიგნით აქვს ყველაფერი, რაც სჭირდება: კოშკის I – II სართულებზე „ჭლიკმბულის“, ანუ პირუტყვის სადგომი, III – სართულზე საცხოვრისი, IV – მეციხოვნეთა სადგომი. . .

შატილიონს შიგნით ჰქონდა საკვების შესანახი დგამები: დიდრონ, ორნამენტიან, კიდობანში ეყარა დიკა, იფქლი, სვილი, ქერი და ჩარათი, - ეს ის უძველესი ჯიშია, შუმერები „ემერს“ რომ ეძახდნენ, - და ლუდს ხდიდნენ... აქაც ლუდს ხდიან: ეს ის მცენარეა, ალპურ ზონაში „ჩარათად“ რომ იქცევა, ჭალის პიეზზე კი ქერად, მე არ ვიცი სხვაგან თუ სადმე ხარობს ამნაირი საოცარი ჯიშის კულტურული მცენარე!..

მათი საკრალური ფრინველი იყო არწივი, საკრალური პირუტყვი – ხარი და „ჩლიქმრგვალი“ – ცხენი. მაღალრქიან ხარებს, ანუ ბულაურებს,

კიკინმაღლებს და ოთხრქა – „ოთხურა ცხვრებს“ ხშირად ხატისათვის შესაწირად ზრდიდნენ...

მარცვალს შიგნით კოშკებში ფქვაკვდნენ და პურს აცხობდნენ.

(ჰქონდათ შიდა ქვის საფქველები და გარეთ – მდინარის წისქვილები). ამხადებდნენ ხინკალს და კეცეულს, ინახავდნენ ხმელ ხორცს, აშრობდნენ ნადირის ნეკნებს, ხმარობდნენ მრავალნაირ ფხალეულს, საკვებსა თუ სამკურნალო მცენარეს... კოშკებში ჰქონდათ, და აქვთ სამჭედლო-სახელოსნოები: შატილიონნი თვითონ ქსოვდნენ „სამანქანურ“ ჯაჭვს, მათი გამორჩეული სამოსი იყო პერანგი ჯვრებით და უძველესი იეროგლიფებით... „ანაქოს ხვეიდან“ მოჰქონდათ ტყვია, სპილენძი და ვერცხლი. საფიხვნოში ედგათ ხარის ტყავის სახელი ხიმური და თოფის წამლის სანაყი.

შატილელებმა თვითონ აღმოაჩინეს თოფის წამლის მიღების უნიკალური წესი, რომელიც

მხოლოდ „შატილმა იცოდა“ და, რომელსაც ინახავს ჩემი საიდუმლო ჩანაწერი... შატილიონთ ჰყავთ თავისი უხუცესი – კითხულ-კაცები და დოსტაქარები, ანატორის აკლდამათა, ანუ („მკვდარი სოფლის“) – საიდუმლოთა ამხსნელი და შემნახველი მუდიუმები!

შატილის ყველა კოშკს აქვს საკუთარი, ქალის სამშობიარო სახლი – „სამრელო“, და აქვთ ერთი საერთო



ძლევდნენ შიშს და დიდობაში უშიშარნი იყვნენ!

11 წლამდე შატილელები ბალღი „უნიფხვოდ“ იზრდებოდა. „უნიფხვოდ“ ბალღი ხელშეუხებელი იყო მტრისაგან. 11 წლიდან პირდაპირ იარაღს ისხამდა და საომრად მზად იყო! ისინი რჯულის ადათებს სწავლობდნენ და, ზოგჯერ კი,

სამრელოც, ექსტრემალური ვითარებისათვის, სადაც ქალის უშიშროება განსაკუთრებით დაცული იყო მტერთა თავდასხმის დროს.

ქალი შვილს მარტოკა აჩენდა: იშვიათად ეხმარებოდნენ მესამრელოე ქალები, ან – დედამთილი...

ქალი, როდესაც ბავშვს აჩენდა, ჭიპლარს გაუჭრიდა და პირდაპირ „ხვესურულ სადიაცოს“ შიგნით ამოჰყავდა ძუძუსთან, კენგურუსავით განიერ უბეში, რომელსაც ჯვრის და მნათობთა ხარიზმული, დამცავი ნიშნები აქვს დაქარვული.

აქ ახალშობილი არ იღუპებოდა! ეს უნიკალური სამოსელი ახლაც აცვიათ მათ და ინახავენ ცოდნას ბუნებრივ ფერთა და ორნამენტთა შერწყმისას... ხოლო ჩვილის მოვლის მათეული წესი, ეთნოლოგთა აზრით, სანიმუშო და უნიკალურია.

.....

შატილიონებს ბავშვის გაზრდის თავისი წესი ჰქონდათ – რაკი მათ საცხოვრისში ბევრი გადასაზარდნი და ჩასაზარდნი ადგილი იყო (საკვამი, ბანი, წინგარდა), ამიტომ შატილელები ხვესურის ბალღი, გრძელი, წელზე შემოჭერილი თოკით ყოველთვის მიბმული იყო მუხის დედაბოძზე, თუ გადავარდებოდა, ჩამოეკიდებოდა თოკზე, ამიტომ ამ არემარეში ხშირად ისმოდა და ისმის, კოშკზე ჩამოკიდებული შატილელები ბავშვის „ჩხავილი“... ხუთი წლის ყმაწვილს ხატს აბარებდნენ და ხარის სისხლით ნათლავდნენ.

ეს იყო განათვლის და არა ნათლისღების რიტუალი!..

შატილელები ბავშვები ჭკვიანი და ჯანსაღი იზრდებოდნენ, ისინი თავიდანვე კარგად ფლობდნენ ფარიკაობისა და იარაღის ხმარების ხელოვნებას და გულადი მამულის მცველნი იზრდებოდნენ. ბავშვობაში

კითხულ-კაცებ-თანაც ისხდნენ.

შატილიონნი დამნაშავეის დასჯის უნიკალურ ადათს ფლობდნენ: როდესაც ადამიანს მოსაკლავად ვერ იმტებდნენ: მზეზე „დააყუდებდნენ“ და მის ჩრდილს დაჰკრავდნენ თოფს, ან ისარს და „ჩრდილმოკლულს“ ტოვებდნენ!..

შატილელები ჰქონდათ საფიხვნო, სადაც იკრიბებოდნენ და ბჭობდნენ, ქალები ქსოვდნენ და ქარგავდნენ, კაცები თოფის წამალს ნაყდნენ, ზოგი ხარის ტყავს ხელდა ხიმურში, ზოგი კანაფის თოკს გრეხდა და მშვილდ-ისარსთლიდა, მოხუცები ყალიონს აბოლებდნენ, ხოლო ქალ-ვაჟები „სწორფრობის“ წესს სწავლობდნენ...

.....

აქ არ წნავდნენ გოდრებს მოხუცებისათვის, მათ კუმირად და მრჩეველად სვამდნენ სიცოცხლის ბოლო

დღემდე – უფროს-უმცროსობის კულტი – შხესავით ადგა თავზე ამ თემის საყმოს და ადათი იცავდა არსებობისათვის საშიშ დროში.

მაშინ კი როდესაც მდინარე, მტრის მოახლოების ამბავს მოიტანდა: შატილის კომკებს ერთად იცავდნენ მეომარი სარანგები, მოხუცები, ბავშვები და ქალები...

ქალები ტყვიას ასხამდნენ და ხირიმებს უტენდნენ მეომრებს, ანდაც მშვილდის-ისრებს აწოდებდნენ...

ქალები თავად ქსოვდნენ სამანქანური ჯაჭვის პერანგებს და სიმამაცის მითებს, შატილელი ბებერი თოთია „შატილობაზე“ საფიზნოში მიყვებოდა ასეთ ამბავს: შატილზე ახვერდი მაჰმადის თავდასხმის დროს სარკმლიდან შემოჭრილმა (კვდიდან ასხლეტილმა) ტყვიამ, აკვანში მწოლიარე ძუძუთა ვაჟი „დაადუმა“... დედამ ხოშაქმა ფრთხილად დაუხუჭა თვალები შვილს, შეუხსნა აკვნის არტახები და ნატყვიარი რძით მობანა. ყველაფერი ეს ისე შეუმჩნევლად გააკეთა, რომ ბრძოლაში ჩაბძულ მის უშიშარ ქმარს არ შეეცყო... თვითონ ისე გააგრძელა ტყვიების ჩამოსხმა და ხირიმების დატენა ქმრისათვის და ქმრის ძმებისთვის, თითქოს არაფერი მომხდარიყოს!...

როდესაც ხოშაქის ქმარმა ცოლის დატენილი ხირიმით, დიდოელთა ჯარის ბელადს ახვერდი მაჰმადს შხე დაუბნელა და ცხენიდან ჩამოაგდო – სამდღიანი ბრძოლა-ომიც დასრულდა და მტრის ხუთიათასიანმა ლაშქარმა ასზე მეტი თანამებრძოლის გვაში გაატანა არღუნის წყლის ტალღებს...

ხირიმის კვამლით შეჭვარტლულ, ნაომარ შატილიონს ჩვილი მოენატრა და ჰკითხა ცოლს ხოშაქს:

- დიაცო, რამდენი ხანი დასძინებია მამუკას, არ მოშიგდა მაინცა?
- მამუკას ვედარც მოშიგდება და ვედარც მოსწყურდება, სამუდამოდ დააძინა მტრის ტყვიამ – უთხრა ცოლმა.

ქმარი გააფითრა ამ ცნობამ და მიუგო ცოლს მტირალს: მადლობელი ვარ შენი კარგო, მაშინვე რომ გეთქვა იქნებ აუჩქარებელიყავი და ტყვია ამეცდინა იმ ძაღლისთვისინაო...

ეს ეპიზოდი და ქცევა გვაწვდის უნიკალურ ინფორმაციას ეთნოტიპზე და მის საომარ თვისებაზე.

.....

შატილის ციხე-სოფლის ჩაკეტილ სივრცეში ყველა ერთმანეთის მოგვარე და სისხლით ნათესავი იყო. ხევსურეთში მოგვარისა და სისხლით ნათესავის ცოლად მოყვანა სასტიკად იკრძალებოდა ადათით და ისჯებოდა – მოკვეთით, ან სიკვდილით. ამიტომ ვაჟს აქ ცოლი სხვა „მთასიქითური“ თემიდან მოჰყავდა,


ქალიც სხვაგან თხოვდებოდა...

.....

მაგრამ ამ მისტიურ ციხე-ქალაქში ერთი შეუცნობი წესი ჰქონდათ: სათემო, ადათი ქალ-ვაჟებს ერთად წოლის ნებას რთავდა, აწვენდნენ შუამავლები ჩალის ლოგინებში, მაღალ ტახტებში, ჭერხობში: დასაშვები იყო ბევრი რამ, გარდა სექსისა, ქალი ვაჟს მარჯვენა მკლავზე ეწვა, შეეძლო მოფერება, ალერსი, მაგრამ ძალადობა და „დაუკრეფავში გადასვლა“ დაუშვებელი იყო: მოძალადე ვაჟს და ავხორც ქალს სახელი უტყდებოდა... ხოლო სექსის შემთხვევაში ორივენი სასტიკად ისჯებოდნენ. სწორფეროთ მთელი ღამე ეღვიძათ, დილით ქალი დგებოდა ადრე და სახლში მიდიოდა მთვარის შუქზე, ეს იყო მთვარიანი ღამეების დიდი სიხარული, „სწორფერნი“ შემდგომ – სიბერემდე პატყვს სცემდნენ ერთმანეთს და იგონებდნენ სიყვარულის იდუმალ მისტერიებს...

სწორფერობა იყო გამოცდა, ქალისა და ვაჟის ურთიერთობის წვრთნა და ხვეწაოჯახის შექმნამდე... კაცობრიულ სამყაროსთვის დღემდე უცნობია ასეთი ფსიქოლოგიური წვრთნა და არაორდინალური წესი, - დაცული და დაშვებული მხოლოდ ხევსურთა ადათით! (ამ უნიკალურ მოვლენას ბრწყინვალე მოთხრობა მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძემ)

ქალი ადვილად ვერ გათხოვდებოდა, თუ ვაჟთან წოლისა და ურთიერთობის წესები არ იცოდა (მაგან



იყავი თუ არა, რომ...

„კაცის გვერდნა არ იცისო – იტყოდნენ!“...

ვერც ქალთან „გაუცხოვებულნი“ (ხამი) ვაჟი მოიყვანდა ადვილად ცოლს – (დიაცს), ხოლო „სწორფერთა“ შორის, როგორც ვთქვით, ცოლქმრობა დაუშვებელი იყო და ორივე ერთნაირად ისჯებოდა.

მაგრამ ადათშიც, ისევე როგორც სამყაროში, უცვლელი არაფერი რჩება, ყოველთვის ყველაფერი იცვლება, ირღვევა, ან კვდება...

ერთხელაც შატილში ქალ-ვაჟთა შორის დაირღვა სწორფრობის „სოლარული“ ზღვარი, ქალ-ვაჟმა გატეხა ტრადიციული სათემო ადათი, ქალმა ვაჟს ცოლობა და სექსი შესთავაზა – სხვა თემში, სხვაზე გათხოვების წინ... ვაჟიც გატყდა და დათანხმდა: ეს იყო სამოთხის ბედისწერული კარის გახსნა, ანუ შესვლა მკაცრად ტაბუდირებულ ნაკრძალში...

იმ დამეს და კიდევ ორ დამეს სწორფერნი არ გამოვიდნენ კოშკიდან! თემისათვის ყველაფერი ცხადი და ნათელი იყო! – იქიდან ტაშის ხმა და ფანდურის ჟღერიალი მოისმოდა.

ხმა გატყდა! – „შატილი ატოხდა“ – ადათი გაიბზარა! და ხვესურეთის მთელ საყმოს მოულოდნელის ელდამ გადაუარა...

ქალის დამწინდველი საქმროს გვარმა სამკდრო-სასიცოცხლო მუქარა დაუბარა ადათის გამტეხ ქალ-ვაჟის ნათესავებს და გვარს. თუმცა შატილის თემმა ვაჟი სასიკვდილედ ვერ გაიმეტა, მაგრამ თემიდან მოკვეთისა და განდევნის მძიმე სასჯელი დაუწესა! მის ჩრდილს თოფი დაჰკრეს და „მკვდარი ხარო“ უთხრეს!!

ქალი ათი წლით „კვეთილში“, ანუ „სადათო ნაკრძალის წრეში“ ჩასვეს, და ხორციელი მარხულობა მიუსაჯეს! – მას ეკრძალებოდა არამც თუ „სწორფრობა“, მამრთან დალაპარაკება და გათხოვებაზე ფიქრიც კი!?

„კვეთილში ჩასმული“ და სწორფერ განდევნილი ქალი-ცოქალა – გამოდის კოშკიდან მდინარის პირას, ქვაზე, საკუთარი ხელით ნაქარვ სამოსელს ტოვებს, მისი სამხეოზე ყოფნის ნიშნად და შატილის მჩქეფარე მდინარეში იკლავს თავს!

შატილში ამასაც ყვებიან: იმ ზაფხულს თბილი ქვეყნიდან დაბრუნებულმა მერცხალმა მოიკლა თავი, ეტყობა „ცოქალას სიკვდილის ამბავი გაიგო“ – ყელში ბრჭყალები გაიყარა და კოშკიდან უსულო ჩამოვარდა.

კობა არაბული



შოთა ქელდიშვილმა ორი საათის განმავლობაში წოლბჯენში 630 ჯერ აიზიდა, 16 კილო გრამიანი გირით 366 ჯერ ჩაიბუქნა და ესპანდერების თითებით მოჭიმვა გაშლა 188 ჯერ მასრულა.

მსოფლიო ჯანმრთელობის საზოგადოების მონაცემებით, 2020 წლისთვის თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებული ავადმყოფობები სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი გახდება. ისინი უფრო მეტსიკვდილიანობას გამოიწვევენ, ვიდრე შიდა, ტუბერკულოზი და სხვა სა-სატრანსპორტო შემთხვევები, მკვლელობა და თვითმკვლელობა ერთად აღებული.

მსოფლიოში ყველაზე მაღალ ადამიანად მიიჩნევენ ლონდონში გარდაცვლილ 24 წლის ფრანც ვინკელმაიერს, რომელიც 273 სმ იყო. გერმანიაში რეკორდი მოხსნა ქალმა, მარინა ვედემ, რომლის სიმაღლაც 255 სმ-ია.

შტუტგარდის გარეუბანში 2000 მდე ვიტარისტი შეიკრიბა. მათ ჯგუფის დიფ ფარფლის ერთ ერთი ცნობილი კომპოზიცია დაუკრეს. მონაწილეებს შორის ყველაზე მცირეწლოვანი 4 წლის ვუნდერკინდი ბიჭუნა იყო, ყველაზე ასაკოვანი 82 წლის შტუდგარდელი პენსიონერი.

1999 წელს ლონსესტონის ჭაბუკთა საფეხბურთო კლუბი უესტფილდ დევილზში (ტასმანია, ავსტრალია) ადრიან ფინმა კუნძულ ტასმანიიდან, 4 გრამიანი კაკალი სარეკორდო 34,1 მეტრზე მოისროლა.

დიდ ბრიტანეთში მსოფლიოში ყველაზე პაწაწინა წიგნი გამოიცა. მას 2 წლის მანძილზე ბეჭდავენ გერმანელი პოლიგრაფისტები. უნიკალური წიგნი სიგრძით 2,4, ხოლო სიგანით 2,9 მმ ია და 69 ფუნტი სტერლინგი ღირს.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული მზის სათვალე რეი ბანი აღმოჩნდა. 1998 წელს იგი 10 მლნ ცალი გაიყიდა.

300 მეტრი სიმაღლის ტალღა დაატყდა თავს ჰავაის კუნძულებს 100 ათასი წლის წინ. იგი გივანტური მეტეორიტის ან წყალწვეშა ვულკანის ამოფრქვევის შედეგად წარმოიშვა.



გერმანიის ქართული
სათვისცემო
ულტვაჟს
სტულიად საქართულოს
კათოლიკოს-პატრიარქს
ღამბაღების დღეს.

აცხადენ უთალო და
შეიწყალენ დიდი მეუთუ
ჩუნი, უწმინდესი და
უნუცატესი სტულიად
საქართულოს
კათოლიკოს-პატრიარქი
და მცხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსი
მამაი ჩუნი ილია.

გერმანიის ქართული სათვისცემოს ორგანო
გამოიკება 2005 წლის ოქტომბრიდან

Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
Herausgegeben seit Oktober 2005

ღამბაღეხი-ღამბაღეხი:
გერმანიის ქართული სათვისცემო

სახედაქუი უოლეხი:
ნინო საბელაშვილი (მთ. რედაქტორი)
ნინო დალაქიშვილი
ნინო ცხომელიძე-დეპერემილტი
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)

მედაქუი მინამიტი

Georgischer Verein in
Deutschland e.V.
Leri Datashvili
Roemerhofweg 51c
85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:
ტელ.: 0711/12 28 97 26
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de

ჩუნი ზახუნოხის ამეხიყაში გამომავალი ქართული გაზეთი „მამული“